პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 23 (33) კვირა, 2 ივლისი, 1944 წ. ფასი 1 მან.

მთელი ჩვენი ძალები—ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად!
ხალხის მთელი ძალები—მტრის გასანადგურებლად—წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

**ი. სტალინი**

1941 წლის 3 ივლისს რადიოში წარმოთქმული სიტყვიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე აბაშელი

## 1941 წლის 3 ივლისი

როცა მტრის ხროვა შემოგვივარდა,
მუხანათურად შემოგვეპარა,
და ჩვენს წმინდა ცას სვავთა მყივართა
ბინძური ფრთები გადაეფარა, —
მახსოვს: უეცრად და უცნაურად
იწყეს შრიალი მწვანე ფოთლებმა,
თითქო ხეებშიც გაიხმაურა
გულის ტკივილმა და შეშფოთებამ.
მოშორდა უცებ გულს სიხარული
და შიგ ჩაგუბდა კვამლი და ნისლი.
იფერფლებოდა ცა გაბზარული
და დაჭრილ მიწას სდიოდა სისხლი.
ჰბუგავდა ცეცხლი მთასა და ყამირს,
ცისფერ ყვავილებს, ოქროს თავთავებს.
ემუქრებოდა წყვდიადი ღამის
ჩვენი სიცოცხლის ნათელ სათავეს.

ამ დროს მოგვესმა ბელადის სიტყვა,
სამარადისოდ ღირსსახსოვარი,
სიტყვა, მზესავით მფრქვეველი სხივთა
და გრიგალივით შეუპოვარი.
და მიხვდა ყველა, რომ ეს გრიგალი
სამშობლოს მიწას მტრისაგან გასწმენდს,
რომ სამამულო ომის გრიალი
ბოლოს მამულის ზეიმს მოგვასმენს.
გამოჩნდა ისევ ლაჟვარდი სუფთა,
თითქო მოშუშდა მიწის იარაც.
ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა
და მხნედ ჩასჭიდა ხელი იარაღს.
მომავალ დღეთა ბრწყინვალე რიგის
ეს იყო ხილვა და საფუძველი,
გამარჯვებათა დიადი წიგნის
პირველი სიტყვა და თავფურცელი.

## მწერლების შეხვედრა არტილერიის მთავარ მარშალთან ნ. ვორონოვთან

მოსკოვის მწერალთა კლუბში მოხდა მწერლების შეხვედრა არტილერიის მთავარ მარშალ ნ. ვორონოვთან, რომელმაც დამსწრეთ გააცნო უძლიერესი საბჭოთა არტილერიის მოქმედება, საბჭოთა არტილერისტების საგმირო საქმეები, მათი თავდადებული და განუწყვეტი მონაწილეობა მტრის ურდოების განადგურებაში მოსკოვთან, სტალინგრადთან ლენინგრადთან, სევასტოპოლთან, დნეპრთან და სხვაგან. ამასთან ამხ. ნ. ვორონოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურას საბჭოთა არტილერიისა და მისი გმირი ადამიანების წინაშე ვალი ჯერ კიდევ გადაუხდელი აქვს, რომ ჯერ კიდევ არ არის დაწერილი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენს გმირ არტილერისტებზე. აღნიშნა რა ეს, ამხ. ნ. ვორონოვმა მოუწოდა მწერლებს—შექმნან პოემები, ლექსები, მოთხრობები, პიესები, რომლებმაც ხალხს უნდა დაანახონ მრისხანე საბრძოლო ტექნიკით მომქმედი საბჭოთა გმირები.

მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ მწერლები ი. ერენბურგი, ლ. ნიკულინი, ვ. კატაევი, ლ. სობოლევი, ვ. შკლოვსკი, ს. ვასილიევი, ვ. გროსმანი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ისეთ ნაწარმოებებზე, სადაც ასახული იქნება საბჭოთა არტილერიის და მისი სახელოვანი ადამიანების როლი დიდ სამამულო ომში.

## ვანდა ვასილევსკაია—გრიუნვალდის ჯვარის ორდენის კავალერი

20 ივნისს მოსკოვში შესდგა პოლონელი პატრიოტების კავშირის წევრთა საერთო კრება, კრებას დაესწრნენ პოლონეთის ნაციონალური საბჭოს რწმუნებულნი, ცნობილი პოლონელი მოღვაწენი, საბჭოთა კავშირში მომქმედი პოლონური არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები.

კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა პოლონეთის ნაციონალური საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელი ბ-ნი მორავსკი. მან მოიყვანა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ პოლონელი ხალხის ბრძოლის მკვეთრი მაგალითები, მოუთხრო დამსწრეთ პოლონელ პარტიზანთა და პოლონეთის სახალხო არმიის საბრძოლო მოქმედების ამბები. პოლონელი ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას საზიზღარი დამპყრობლების წინააღმდეგ ხელმძღვანელობს პოლონეთის ნაციონალური საბჭო („კრაევაია რადა ნაროდოვა“), რომელიც აერთიანებს პოლონეთის ყველა დემოკრატიულ ელემენტებს.

ბ. მორავსკი, რომელმაც პოლონეთის ნაციონალური საბჭოს სხვა რწმუნებულებთან ერთად ინახულა საბჭოთა კავშირში მყოფი პოლონური არმიის ნაწილები და დაწვრილებით გაეცნო პოლონელ პატრიოტთა კავშირის მოღვაწეობას საბჭოთა კავშირში, აღტაცებით ლაპარაკობს იმაზე, რაც მან ნახა და მოისმინა.

„ჩვენში, ჩვენს სამშობლოში, — სთქვა დასასრულ ბ. მორავსკიმ, — ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პოლონური შეიარაღებული ძალების შექმნის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის პოლონელ პატრიოტთა კავშირს და მის თავმჯდომარეს, ვანდა ვასილევსკაიას. სამშობლოს წინაშე ამ ღვაწლის აღსანიშნავად პოლონეთის ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა, დააჯილდოვოს პოლონელი ხალხის ერთგული ქალიშვილი ვანდა ვასილევსკაია „გრიუნვალდის ჯვარის“ პირველი ხარისხის ორდენით.

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ვ. ვასილევსკაიამ. მან მადლობა გადაუხადა „კრაევაია რადა ნაროდოვას“ მაღალ ჯილდოსათვის და სთხოვა რწმუნებულთ — გადასცენ პოლონეთში მებრძოლ პოლონელებს, რომ საბჭოთა კავშირში მყოფი პოლონელი პატრიოტები ბოლომდე მოიხდიან თავიანთ მოვალეობას პოლონელი ხალხის წინაშე.

ალექსანდრე ქუთელია

## რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა

წერილი მესამე

### გოგოლი და ტურგენევი ევროპის ლიტერატურაში

პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ რუსული ლიტერატურა განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებოდა და ვითარდებოდა. ამასთან ერთად გაიზარდა და განმტკიცდა ამ ლიტერატურის მსოფლიო გავლენა.

გოგოლს „რევიზორისა“ და „მკვდარი სულების“ სიუჟეტი, როგორც ცნობილია, პუშკინმა მისცა. დიდი პოეტი, როგორც თვითონ გოგოლი აღნიშნავს, სხვას არავის არ დაუთმობდა ამ სიუჟეტებს. პუშკინის ნაგულვებს გოგოლმა ისეთი ხორცი შეასხა, რომ ამაზე თვითონ პუშკინიც არ იტყოდა უარს (პუშკინს „რევიზორის“ ხელნაწერი გადაუთვალიერებია, მაგრამ ცნობა არ შემონახულა, თუ რა შესწორება და შენიშვნები გააკეთა). გოგოლმა თავის ქმნილებებს შეუნარჩუნა პუშკინისებური სული, კიდევ უფრო განავითარა იგი. გოგოლმა როგორც ყველა დიდმა მწერალმა აიღო სხვისაგან, პუშკინისაგან თავისი და თავისებურად განავითარა ის. გოგოლის მიერ განვითარებული სული პუშკინის ნაწარმოებებისა — უწინარეს ყოვლისა რეალიზმია. კრიტიკულმა რეალიზმმა, მისმა მამხილებელმა ნიშნებმა ისეთი ძლიერი და მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს გოგოლის ნაწერებში, რომ ბელინსკიმ მისი შემოქმედება ერთბაშად აღიარა ახალ ეპოქად პუშკინის შემდგომ რუსულ ლიტერატურაში. ჩერნიშევსკი 30-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე მთელ ეპოქას ახასიათებს როგორც „გოგოლის პერიოდს რუსულ ლიტერატურაში“. „გოგოლის მიმართულება, — სწერდა იგი 1855 წელს, — დღემდე რჩება ჩვენს ლიტერატურაში ერთადერთ, ძლიერ და ნაყოფიერ მიმართულებად“[1].

ბელინსკი და ჩერნიშევსკი გოგოლს უწოდებდნენ „რუსული პროზის მამამთავარს“, „მნიშვნელობით უდიდეს რუს მწერალს“, „ორიგინალურსა და თავისთავად მწერალს“.

ჩერნიშევსკი უარჰყოფდა ჰოფმანისა და ტიკის გავლენას გოგოლზე.

„განა არ უნდა გვეკითხნა, გაგონილი ჰქონდა თუ არა რაიმე გოგოლს 1835 წელს ჰოფმანისა და ტიკის შესახებ?.. როგორ შეიძლებოდა გოგოლი ტიკის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, როცა საეჭვოა თუნდაც რამდენადმე სცოდნოდეს იგი?.. ზედმეტად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჰოფმანთან გოგოლს ოდნავი მსგავსებაც კი არა აქვს... ტიკთან, ამ მოცლილ ფანტაზიორთან, გოგოლს კიდევ უფრო ნაკლები მსგავსება აქვს“.

ყველა გამოჩენილ ადამიანს განსაკუთრებით ხიბლავდა ძალა გოგოლის მიერ სოციალური ბოროტებისა და უკუღმართობის ულმობელი მხილებისა და ამ მოვლენების გამო მისი კეთილშობილური აღშფოთებისა. მათ ესმოდათ გოგოლის აზრი, რომ სიკეთე შეუძლებელია ბოროტების გაუკიცხავად. ბოროტების გასაკიცხად კი გოგოლმა აირჩია უაღრესად ბასრი იარაღი — დაცინვა, ჰუმორი.

გოგოლი პირველად ფრანგულ ენაზე სთარგმნეს. 1845 წელს პარიზში გამოიცა გოგოლის „მოთხრობები“, რომლებშიც შედიოდა „ტარას ბულბა“, „შეშლილის დღიურები“, „ეტლი“, „ძველებური მემამულენი“ და „ვიი“. თარგმანი ეკუთვნოდა ლ. ვიარდოს, რომელსაც ი. ს. ტურგენევი ეხმარებოდა. ამ მოთხრობებმა დიდი ინტერესი და ქება გამოიწვიეს. მათ გამოეხმაურა სახელგანთქმული ფრანგი რომანტიკოსი პოეტი და კრიტიკოსი სენ-ბევი. სენ-ბევი, რომელიც პირადად იცნობდა გოგოლს „*Revue des deux mondes*“-ში სწერდა: „ვიდრე ბ-ნი ვიარდო სთარგმნიდა, საეჭვოა რომელიმე ფრანგს წაეკითხოს გოგოლის ნაწარმოებნი დედანში. ასეთსავე მდგომარეობაში ვიყავი მეც. მაგრამ მე მქონდა უპირატესობა, რასაც დაბეჯითებით აღვნიშნავ: ამ რამდენიმე ხნის წინათ გემზე, რომიდან მარსელს მგზავრობის დროს, მე შევხვდი ავტორს. მაშინ მე მოვისმინე მისი საუბარი, რომელიც აღსავსე იყო საფუძვლიანი მოსაზრებებით და განირჩეოდა ზნეჩვეულებათა და ყოველდღიური ცხოვრების დაკვირვების სიზუსტითა და სიუხვით და ამ საუბარმა საშუალება მომცა ერთბაშად ჩავწვდომოდი, ასე ვთქვათ, წინასწარ მეგემნა მის თხზულებათა მთელი ორიგინალობა და რეალიზმი. ბ-ნი გოგოლი, როგორც სჩანს, უწინარეს ყოვლისა იმისათვის ზრუნავს, რომ სისწორით დაგვიხატოს ზნე-ჩვეულებანი, სიმართლით წარმოსახოს ცხოვრება, ზრუნავს ბუნებრიობისათვის, აწმყოს შეეხება ყოველივე ეს თუ ისტორიულ წარსულს; მას ხალხის გენია აინტერესებს, და, რასაც უნდა მიაპყროს თვალი, ყველგან ამჩნევს ამ გენიის არსებობას და შეისწავლის მას... მე გამიგონია, რომ ჭკვიანი ადამიანები გოგოლს ადარებდნენ მერიმეს და მათ შორის მსგავსებას პოულობდნენ. ეს შედარება მეტად სარისკოა და მხოლოდ შორეულ და დაახლოებითს წარმოდგენას იძლევა. მაგრამ მართალია ის, რომ ბ-ნი გოგოლი ნაკლებად ზრუნავს იდეალიზაციისათვის, რომ იგი არ გაურბის სინამდვილის უხეშსა და შიშველ მხარეებს და სრულიად მოურიდებლად, მკვეთრად და ღრმად სწვდება ამ სინამდვილის რაობას; მას ყველაზე უფრო აინტერესებს ბუნება და ალბათ ბევრი უკითხავს შექსპირი“. ფრანგი კრიტიკოსი განსაკუთრებით აღტაცებული იყო „ტარას ბულბათი“, მას ზაპოროჟიულ ილიადას უწოდებდა. საერთოდ „ტარას ბულბას“ განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა საფრანგეთში, იქ მისი 8 გამოცემა არსებობს. 1859 წელს პარიზში ერთბაშად გამოსცეს „მკვდარი სულების“ ორი თარგმანი, გერმანიაში „მკვდარი სულები“ 1847 წელს გამოიცა.

საფრანგეთში გოგოლს ვიარდოს გარდა სთარგმნიდნენ მერიმე, მარმე და დე-ვოგიუე. მ. დე-ვოგიუე, რომელმაც, მისივე სიტყვით, 30 წელი შესწირა გოგოლის შესწავლას, ამბობდა, რომ „გოგოლმა პირველმა დააღწია თავი რომანტიზმის პირობითობას და მექცევას, რათა შექმნა ადამიანთა და საგანთა შესწავლასა და აღწერაში განმჭვრეტი, ზუსტი, ჭეშმარიტებაზე შეყვარებული რეალიზმი, რომელიც კეთილნაყოფიერია თავისი ულმობელობითაც კი, როგორც სარკე, რომელიც ჩვენს ნაკლსა და მანკიერებას გვიჩვენებს, რათა გამოსწორება შევძლოთ“.

გოგოლმა, ვოგიუეს აზრით, ახალი სოციალური საჭიროებისათვის ახალი ლიტერატურული ხერხები შემოიღო. გოგოლის იდეებმა მკითხველი მოახლოებული გარდაქმნებისათვის მოამზადეს. „მან მიაგნო ახალ ლიტერატურულ ფორმებს, — სწერდა ფრანგი კრიტიკოსი, — რადგან მის სულში დაისადგურა ახალმა სოციალურმა საჭიროებამ, რომელიც ამ ფორმებით უნდა გამოთქმულიყო, რადგან მისი გულისწადილი იყო მკვდრეთით აღედგინა ეს „მკვდარი სულები“, რომელთა სიბეჩავე მან პათოსური ირონიით ამხილა. ხშირად ამბობდნენ, ტურგენევის „მონადირის დღიურებმა“ მონობის დასამარება გვამცნესო; ეს მართალია, მაგრამ ეს „დღიურები“ მიმართულია მკითხველებისადმი, რომელნიც გოგოლის გავლენით წარმოშობილმა აზროვნებამ უკვე მოამზადა მოახლოებული გარდაქმნებისათვის“.

გოგოლიდან იწყებს შემოქმედებითს გზას არა მარტო „მონადირის დღიურების“ ავტორი, არამედ „გონჩაროვი, დოსტოევსკი, აგრეთვე ის, ვისაც აქედან ვეტრფით იასნაია პოლიანაში, ვინც შექმნა ფანტაზიის ვრცელი სამყარო, რომლის ძალა მთელ დედამიწას სწვდება“. გოგოლი ყველა რუსი რომანისტის მამამთავარია.

რა ნაციონალურიც უნდა იყოს გოგოლი, იგი, ვოგიუეს სიტყვით, მხოლოდმხოლოდ რუსებს როდი ეკუთვნის. სერვანტესის მსგავსად, „თავის ძალას ავრცელებს მთელ კაცობრიობაზე“.

გ. ბრანდესის აზრით, „გოგოლის შემდეგ რუსეთიდან ევროპაში ახალი ქროლვაა“. ბრანდესი სთვლიდა, რომ „გოგოლი სიტყვის სრული მნიშვნელობით გენიოსია და შთაგონებული გენიოსიც“. გოგოლი დიდი რეალისტია, რომელმაც ევროპას გაუსწრო. „გოგოლის მეოხებით, რომელიც ჩვენს პოეტურ შემოქმედებაში რეალური, სიმართლის სკოლის შემქმნელია, თქვენ გაუსწრეთ ევროპას.“ — ამბობდა იგი, რუსებს რომ მიმართავდა.

გამოჩენილი კრიტიკოსი ფიქრობდა, რომ „არც ერთი ქვეყნის თანამედროვე ლიტერატურაში არ მოიპოვება ისეთი მახვილგონიერი, მხიარული და ამასთან უაღრესად სერიოზული კომედია, როგორიცაა „რევიზორი“. გოგოლმა რუსული დრამატურგია ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომელიც მიუწვდომელი გახდა გერმანელებისათვის. „საჭირო გახდა ორმოცი წელი იმისათვის, რომ იბსენის სახით სკანდინავიურ დრამას მიეღწია ამ სიმაღლემდე; გერმანულმა დრამამ დღემდე ვერ მიაღწია ამას“[2].

ინგლისური ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლები გოგოლს ატოლებდნენ დიკენსს. მათ გოგოლი მიაჩნდათ პირველ რუს მწერლად, რომელმაც განსაცვიფრებელი ნიჭით გამოავლინა რუსული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნიშნები. მათ ყურადღებას იპყრობს გოგოლის შემოქმედების ნოვატორობა და სიწრფელე.

არაჩვეულებრივი თანაგრძნობა ყოველი ტანჯული და შეურაცხყოფილი ადამიანისადმი, ყოვლისშემძლე სიყვარული ყველა უბედურისა და ბედკრულისადმი, რაც მათი აზრით, რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, განსაკუთრებული ძალით არის გამოხატული გოგოლის შემოქმედებაში, მაგრამ ეს თანაგრძნობა და სიყვარული ადამიანისადმი მფარველობის ან სიბრალულის უბრალო გრძნობა კი არ არის არამედ ადამიანთა სულიერი ნათესაობის და სიყვარულის გრძნობაა.

„გოგოლი ჩვენ გულში გვწვდება სტერნის მსგავსად და დიკენსის კომიზმის წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. „მკვდარი სულების“ შექმნით გოგოლმა რუსეთს მისცა ისეთი ნაწარმოები, როგორიც დიკენსმა ინგლისს—თავისი „პიკვიკის კლუბის წერილების“ სახით... —სწერდა ინგლისელ ლიტერატორთა საზოგადოება.

ინგლისელ მწერალთა, დრამატურგთა, კრიტიკოსთა, რუსი კლასიკოსების მთარგმნელთა ჯგუფი, მათ შორის ჯონ გელსუორსი, ჰენრი ჯაუსი, დრამატურგი და აქტიორი გრენდვილ ვარკერი, ტოლსტოის მთარგმნელი ე. მოდი, ტურგენევისა და ტოლსტოის მთარგმნელი ჯ. ჰარნეტი და სხვები, სულ 20 კაცზე მეტი, გოგოლის შესახებ სწერდნენ: „ჩვენ ვადიდებთ მას უმთავრესად როგორც ყოველივე იმის ფუძემდებელს, რაც გამოიხატება სიტყვებით: „რუსული ლიტერატურა“. ამ ლიტერატურამ უდიდესი სამსახური გაუწია რუსეთს და ძლიერი შემოქმედება იქონია ყველა კულტურულ ხალხთა სულიერ სამყაროზე. შემდგომმა რუსმა მწერლებმა მისი გზა განაგრძეს. გავლენა ისეთი ავტორებისა, როგორიც არიან ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ჩეხოვი და გორკი კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე გოგოლის გავლენა, მაგრამ დიდება იმ პიონერს, რომელმაც მამაცურად გაუკაფა გზა სხვებს და გაბედულად დადგა წინ. გოგოლი ასეთი პიონერი იყო, და რუსული ლიტერატურის უმეტესად დამახასიათებელ ნიშნებს, უწინარეს ყოვლისა, მის შემოქმედებაში ვპოულობთ“.

ეს მწერლები არკვევენ რუსული ლიტერატურის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებს, ეხებიან იმ ხალხის მომავალს, რომელმაც ასეთი ლიტერატურა შექმნა, და გახაზავენ: „ჩვენ ვხედავთ რუსული ლიტერატურის უშიშრობას სიუჟეტის შერჩევასა და დამუშავებაში. ის უგულებელჰყოფს გაცვეთილი ტრადიციების წესებს და ვიწრო გემოვნებას თვითკმაყოფილი საზოგადოებისას, რომლისთვისაც მისი მყუდროების ყოველგვარი დარღვევა საძულველია. მისი სიწრფელე არაფრის წინაშე არ იხევს უკან, ის შემართებით სწვდება ცხოვრების ყველაზე ვულგარულ და მოყირჭებულ მოვლენებსაც კი და გამოცდილი თვალით, ახალ შეხედულებათა, ახალ მისწრაფებათა თვალსაზრისით წარმოსახავს მათ. რუსულ ლიტერატურაში ყველაზე მეტად გვაოცებს არაჩვეულებრივი თანაგრძნობა ყოველივე იმისადმი, რაც იტანჯება, თანაგრძნობა დამცირებულთა და შეურაცხყოფილთადმი, ყოველი კლასისა და მდგომარეობის ადამიანთა ცხოვრების გვერდებისადმი, — იმ ადამიანებისადმი, რომელთა სული ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ თითქოს პარალიზებული და დასახიჩრებულია ცხოვრების ორომტრიალში. და ეს განსაკუთრებული თანაგრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ყოველივე ის, რაც უმეტესად თვალსაჩინოა რუსულ ხელოვნებაში, სრულიადაც არ წარმოადგენს მფარველობას ან თუნდაც სიბრალულს. იგი უფრო ადამიანთა ღვიძლ ნათესაობის გრძნობაა, რომელიც ოჯახის წევრებს მჭიდროდ აკავშირებს როგორც უბედურებაში, ისე ბედნიერებაში; იგი არის ჭეშმარიტი ძმობის გრძნობა, რომელიც მთელ მრავალეროვან კაცობრიობას აერთიანებს.

ასეთი ნიშნებით რუსული ლიტერატურა გადაიქცა ჩირაღდნად, რომელიც ცამცამებს რუსეთის ნაციონალური ცხოვრების ყველაზე ბნელ კუთხეებში. მაგრამ ამ ჩირაღდნის სინათლე შორს დაიფრქვა რუსეთიდან, მან მთელი ევროპა გააცისკროვნა.

და ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ხალხი, რომელმაც ასეთი დიადი და მამაცური საქმე შეასრულა ადამიანის სულის განსათავისუფლებლად, ცხოვრების სრულ და თავისუფალ განვითარებასაც მიაღწევს, რისთვისაც იგი ასე ხანგრძლივად იბრძოდა და იტანჯებოდა“.

ჩვენს პირველ წერილებში ვამბობდით, რომ ქართული ლიტერატურა იზიარებს რუსული ლიტერატურის დიად ნიშნებს და რომ მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. აქ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსულმა ლიტერატურამ უდიდესი როლი შეასრულა რუს და ქართველ ხალხთა მტკიცე თანამშრომლობის, ურთიერთგაგების საქმეში. ქართველმა ხალხმა პირველ რიგში რუსული ლიტერატურის მეოხებით შეიყვარა და გაიცნო დიდი რუსი ხალხი. ამ ლიტერატურაში გამომჟღავნებული ძლიერი სულისკვეთება, მისი განმანთავისუფლებელი იდეები უნერგავდნენ ქართველ ხალხს საძულველი თვითმპყრობელობის მალე დამხობისა და ახალი უკეთესი ცხოვრების შექმნის რწმენა-იმედს. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი, რაც სამწუხაროდ დღემდე სრულიად გამოუკვლეველია სპეციალურ და გადაუდებელ შესწავლას საჭიროებს.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისალმება, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ თბილისის საზოგადოებას გაუგზავნია 1909 წელს გოგოლის წლისთავის გამო: ამ ლიტერატურის (ახალი რუსული ლიტერატურის — ა. ქ.) ძლიერი გავლენით, — ნათქვამია იქ, აღიზარდა ქართველი ინტელიგენციის არა ერთი თაობა, გაიზარდა და განმტკიცდა არა ერთი ქართველი მწერლის ტალანტი. მისი ძლიერი გავლენით ისწავლა ქართველმა ინტელიგენციამ, მის შემდეგ კი ქართველმა ხალხმა, მრავალტანჯული რუსი ხალხის გაგება და დაფასება... რუსული კულტურის დიად დღესასწაულთა დღეებში, როგორც ახლა, ისე ამას წინათ ტოლსტოის და ტურგენევის დღეებში, ჩვენ მთელ რუსეთთან ერთად, რომელიც სინათლისაკენ მიისწრაფვის, გვწამს, რომ **რუსი ხალხის ცხოვრების წიაღში იმალება ის ძალა, რომელიც ბოლოს-დაბოლოს წყვდიადს დათრგუნავს და ახალ ცხოვრებას შექმნის რუსეთის ყველა ხალხთათვის**“.[3]).

სხვათა შორის მისალმება გაგზავნა „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამაც“, ხოლო ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ სილოვან ხუნდაძემ გაგზავნა ლექსი ქართულ ენაზე და მისი საკუთარი თარგმანი. ამასთან იგი ითხოვდა, რომ მისი ლექსები ქართულ ენაზე წაეკითხათ ზეიმზე.

წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ რამდენად ფართო და ღრმა გავლენა მოიპოვეს პუშკინმა და ლერმონტოვმა ევროპის ლიტერატურაზე. ახლა ვხედავთ გოგოლის გავლენას, მაგრამ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, რუსული ლიტერატურის უმეტესი გავლენა ევროპის და მსოფლიოს ლიტერატურაზე დაკავშირებულია ტურგენევის სახელთან.

1) ნ. გ. ჩერნიშევსკი. „ნარკვევები გოგოლის პერიოდისა რუსულ ლიტერატურაში“. რჩ. ნაწ. ტ. IV.

2) გ. ბრანდესი, თხზ. კრებ. ტ. XIX, გვ. 162. ამასვე ამბობდა იგი თავის წერილში გოგოლის შესახებ, რომელიც დაწერილია გოგოლის დაბადების წლისთავისა და მოსკოვში 1909 წელს მისი ძეგლის გახსნის გამო.

3) იხ. „გოგოლის დღეები მოსკოვში“. 1910 წ. გვ. 306 ხაზი ჩვენია. ა. ქ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## ვიქტორ გაბესკირია

# ტყვე ქალი

### ძველ საქართველოში

[illegible]

# საქართველოს არქიტექტორთა კავშირის პლენუმი

[illegible]

ქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ საარქიტექტურო სამმართველოს უფროსის, სტალინური პრემიის ლაურეატის არქ. არჩილ ქურდიანის მოხსენება: „აღდგენითი მშენებლობა და საქართველოს ხუროთმოძღვართა ამოცანები". პროფ. ლ. დიასამიძის მოხსენების თემა იყო „ნგრევის ხასიათი და საქალაქო კომუნალური მეურნეობის ობიექტთა აღდგენის მეთოდები". დოც. ალ. ნიკოლაიშვილმა პლენუმს მოახსენა „ქალაქებისა და დასახლებული ადგილების დაგეგმარების საკითხები აღდგენით მშენებლობაში". მოხსენებებით გამოვიდნენ მეცნ. და ტექ. დამსახ. მოღვაწე პროფ. გნედოვსკი („ხიდებისა და გზების ნგრევის ხასიათი და მათი აღდგენის მეთოდები"), დოც. ბეთანელი („შენობათა ნგრევის ხასიათი და აღდგენის მეთოდები") და დოც. სიმონოვი („ადგილობრივი მასალისა და კონსტრუქციების გამოყენების ცდა და მათი მოხმარების შესაძლებლობა ალსადგენი რაიონების მშენებლობაში").

კამათში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის აკადემიკოსმა ნ. პ. სევეროვმა, არქიტექტორებმა — ი. ზაალიშვილმა, ლ. სუმბაძემ, მ. ჩხიკვაძემ, ბუცდანოვმა, მ. ბუზ-ოღლიმ, ა. კრავჩენკომ, მ. კანდახჩიანმა, ს. რაიგოროდსკიმ (აზერბაიჯანის არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენელი). ინჟინრებმა—პროფ. პ. სოლოვიევმა, ს. დიასამიძემ, ვ. კოჟევნიკოვმა, ლ. გელბუხმა, ბაბანოვმა და იარცევ-ხმელევსკიმ.

[illegible]

საქმეში ადგილობრივ დახმარების გასაწევად, საქართველოს სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტებმა უნდა გამოიკვლიონ ადგილობრივი საშენი მასალა და შეიმუშაონ ახალი მასალა სპეციალურად დაზარალებული რაიონებისთვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კადრების მომზადების საქმეს—უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს საარქიტექტურო სპეციალობა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და ინდუსტრიულ ინსტიტუტებში, უნდა გაძლიერდეს მუშაობა საქ. არქიტ. კავშირის მიერ მოწყობილ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, კავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ოსტატთა მოსამზადებელი სასწავლებლის ორგანიზაციაში, სასწავლებელთა პროგრამებში შეტანილ უნდა იქნას სათანადო დამატებები და კორექტივები სამამულო ომის გამოცდილების საფუძველზე, უნდა გამოიცეს სახელმძღვანელო აღდგენითი სამუშაოებისათვის, უნდა დაარსდეს ექსპერიმენტული სახელოსნოები სამხატვრო მრეწველობის პროდუქციის მასობრივი გამოშვების მოსაწესრიგებლად, დასასრულ, უნდა მოეწყოს კონკურსები მასობრივი მშენებლობის (საცხოვრებელი სახლები და სხვ.) პროექტებისა და სამამულო ომის თემატიკასთან დაკავშირებული მონუმენტების პროექტთა შესადგენად.

პლენუმი დაიხურა ამხ. თომა ფოცხიშვილის შემაჯამებელი სიტყვით.

## გიორგი გაბუნია

# ფერწერის ისტორიული ჟანრის ოსტატი

### (ვ. სიდამონ-ერისთავის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავის შესრულების გამო)

ფართო საზოგადოებრიობამ ვ. სიდამონ-ერისთავი პირველად მაშინ გაიცნო, როცა ამ მხატვარმა მუშაობა დაიწყო ილუსტრატორად გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში. უკვე ამ ხანებში ის მთლიანად გატაცებულია ისტორიული თემატიკით, ამას ნათლად მოწმობენ ის ნაწარმოებნი, რომელნიც უხვად გვხვდებიან „საქართველოს" ფურცლებზე, მათგან აღსანიშნავია „ქართველი რაზმები საზვერავ გორაკზე" („საქართველო", 1915 წ. 28 ივლისი), „ხევსურთა ჭრონდათ ღრეობა" (იქვე 23 აგვისტო) და სხვა. ამ ნაწარმოებში უკვე ჩანს დიდი ფანტაზია, ტიპაჟის ცოდნა, ოსტატური კომპოზიცია; საინტერესო არიან ისინი წმინდა ტექნიკური თვალსაზრისითაც.

ხსენებული ნახატები შესრულებულნი არიან უმეტესწილად ფანქრით, იშვიათად კალმით ან ფუნჯით. მხატვარი გრაფიკულ ნამუშევრებშიაც კი აღწევს ფერწერის ნიუანსითა მრავალფეროვანებას და სიმდიდრეს. ამავე პერიოდის ნამუშევართაგან აღსანიშნავია ის ილუსტრაციები, რომელნიც დართული აქვს ლიტერატურულ კრებულს „მერანს". აქედან აღსანიშნავია „მხვერავნი" „მეომარი ყმაწვილი", „მერანი" („მირბის მიმაფრენს"), „შურისმაძიებელნი" (ძველი ხევსურეთი) და სხვა.

ამ ნაწარმოებებში მოქმედება ყველგან ისე ნათლად იშლება, ადამიანთა სახეებზე ისე რელიეფურად არის აღბეჭდილი სულის ვითარება და განცდა, რომ ხშირად ილუსტრაციებს წარწერა და განმარტება არც კი სჭირდებათ. 1916-17 წლების განმავლობაში მხატვარი კახეთშია, მასწავლებლად, მაგრამ იგი ამ დროს მარტო პედაგოგიური მუშაობით არ კმაყოფილდებოდა, ის ამავე დროს გატაცებით მუშაობდა ფერწერაში. ამ ხანებში მან შეასრულა „ხედი კურდღელაურზე" (ძველი ციხე-სიმაგრე), „წარმავალი თელავი", „ძველი თელავის კუთხე". ეს პეიზაჟები დაწერილნი არიან მონაცრისფერო-ვერცხლისფერ ტონებით. საინტერესოა ის მოვლენა, რომ მხატვარი პეიზაჟებშიც პოულობს ისტორიულ კოლორიტს და მძაფრად შეიგრძნობს გარდასულის სურნელებას.

უაღრესად საინტერესოა სიდამონ-ერისთავის პორტრეტი-პანო „თამარ მეფე" (1917-18 წ.) ეს კომპოზიცია ფერთა მშვენიერ სანახაობას იძლევა, იგი სავსეა მრავალი ნიუანსით. მუქი ლაჟვარდის ფონზე, შავფაფარ აყრილ ცხენზე ზის თამარი, იგი პროფილშია დაწერილი სტილიზაციით, უკანა პლანზე მოსჩანან თამარის ამალა, მხევალნი, მონუცი და ახალგაზრდა მხედრები. ამავე პერიოდისაა „ჭაბუკი შოთაც", ეს პორტრეტიც პროფილშია დაწერილი და თავისი შესრულების მანერის მხრივ ფრესკულ მხატვრობის პორტრეტებს მოგვაგონებს.

განსაკუთრებულ შემოქმედებით ამაღლობას განიცდის მხატვარი 1921 წლის შემდეგ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ეპოქამ ახალი სახეებით, ახალი თემებით შთააგონა მისი შემოქმედება. ამ ხანებში მხატვარი მუშაობას იწყებს თეატრებშიც.

1921-23 წლების მანძილზე სიდამონ-ერისთავის ნამუშევართაგან აღსანიშნავია „ხევნი", „ყურძნის კრეფა", „შემოდგომა". ამის პარალელურად იგი განაგრძობს მუშაობას ისტორიულ თემებზე. შემდეგ წლებში აღსანიშნავია მისი „მსახიობ ტასო აბაშიძის პორტრეტი", „მსახიობი ვასო აბაშიძე", „ავტოპორტრეტი", „მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილი" და სხვა.

1934-36 წლებში მხატვარი მუშაობს ეტიუდების სერიაზე, რომელიც მთლიანად მიძღვნილი არიან ნავთის სარეწაოთა მუშების ცხოვრებისადმი. ამ თემის შესასწავლად სიდამონ-ერისთავი სპეციალურად გაემგზავრა ბაქოში. მთელი ეს მასალა მხატვარმა შემდეგში გამოიყენა თავისი გრანდიოზული სურათისათვის: „ამხანაგი სტალინი ბაქოს ნავთის საბადოების მუშათა მიტინგზე". ამ სურათში წინა პლანზე დგას ამხანაგი **სტალინი**, სიტყვას წარმოსთქვამს, მას ირგვლივ მუშები შემოხვევიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სიდამონ-ერისთავის სურათი „წითელი ცხენოსანი ჯარი". ეს სურათი შესანიშნავია განსაკუთრებით თავისი კომპოზიციით: მუქ-ლურჯი ცის ფონზე მოსჩანან მხედრები, წითელი დროშებით.

მართალია სიდამონ-ერისთავის შემოქმედებაში მთავარი ყურადღება ისტორიულ თემას ჰქონდა დათმობილი, მაგრამ მხატვარი იმავე დროს თანამედროვე ცხოვრების თემებსაც უაღრესად დიდი ინტერესით იღებდა. მან არა ერთი საუცხოვო ტილო შექმნა სამხედრო სიუჟეტებზე, რომელთაგან აღსანიშნავია „არტილერიის გამოსვლა ტაქტიკურ მეცადინეობაზე", „დოლი ავჭალაში", „ტანკისტები" და სხვა.

1940 წელს მხატვარს იტაცებს გიორგი სააკაძის თემა. საკითხის შესასწავლად ის ათვალიერებს მცხეთის ისტორიულ ნაშთებს. შემდგომ წელს იგი იწყებს უკვე კომპოზიციას. სურათში ხედვითი წერტილი აღებულია ჯვრის მონასტრიდან, რომელსაც გარშემო გალავანი უვლის, იქვე ბანიანი სახლები მოსჩანან. თვით გიორგი სააკაძე მონასტრის წინ სდგას, მარცხენა ხელით დოინჯი შემოურტყამს და ორ ახალგაზრდას ხმლის ხმარებას ასწავლის.

სააკაძეს აცვია მუქი ლურჯი კაბა ოქრომკედით გაწყობილი. ახალგაზრდა მებრძოლები, თეთრ და ყავისფერ ტანსაცმელში არიან გამოწყობილი. კარგადაა გადმოცემული მცხეთის პეიზაჟიც.

სიდამონ-ერისთავმა უმდიდრესი მხატვრული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. თავის სურათებში მან ცოცხლად, მართლად და წარმტაცად ასახა როგორც წარსულის, ისე თანამედროვეობის მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა, მრავალი ღირსშესანიშნავი ადამიანი.



გიორგი სააკაძე ფარიკაობაში წვრთნის ახალგაზრდა მეომრებს.
სურათი ვ. სიდამონ-ერისთავისა.

## ს. ბოცვაძე

# ლუარსაბ ბოცვაძე საბავშვო ლიტერატურის შესახებ

### (გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო).



ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში ლ. ბოცვაძე საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურაა. მისი პედაგოგიური იდეები ემყარებოდნენ, რადიკალურად განწყობილი ქართველი ინტელიგენციის პროგრესიულ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას.

მოზარდი თაობის რაციონალურად აღზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ლ. ბოცვაძეს საბავშვო ლიტერატურა მიაჩნდა და ზრუნვა მისი ყოველდღიურ ზრდა-განვითარებისათვის მის ძირითად ამოცანას შეადგენდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული საბავშვო ლიტერატურა მხოლოდ ფეხს იკიდებდა, როდესაც ყოველი საბავშვო წიგნაკი უჩვეულო, მაგრამ მეტად სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენდა, ლ. ბოცვაძე გამოდიოდა საფუძვლიანი კრიტიკული თუ თეორიული წერილებით და გზას უკაფავდა საბავშვო მწერლობას. „სკოლებსა და ოჯახებში, — სწერდა იგი, — ბავშვების გონივრულად განვითარების საქმეში უპირველესი ადგილი საბავშვო მწერლობას უჭირავს. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი ერის გულშემატკივარნი, ჭეშმარიტად განათლებულნი, ყველაფრის დაუზოგველად ცდილობდნენ საბავშვო მწერლობის აყვავებას ჩვენში" („ივერია", 1898 წ., № 54).

საბავშვო ლიტერატურას და საბავშვო მწერალს იგი სერიოზულ მოთხოვნას უყენებს. მისი გაგებით, საბავშვო ლიტერატურამ მოზარდი თაობა მეცნიერულად უნდა აღზარდოს და იმავე დროს ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ბუნებაში არსებული ჰუმანიური მხარის გამომჟღავნებას, ყოველმხრივ უნდა შეეცადოს, რომ ბავშვმა მხატვრული ლიტერატურის საშუალებით დამოუკიდებლივ აღმოაჩინოს თავის არსებაში ჩამარხული ეს ძვირფასი საგანძური. მაგრამ მხატვრული ლიტერატურის გზით ბავშვზე ამგვარი ზემოქმედება ლ. ბოცვაძის აზრით, საკმაოდ რთული და მძიმე საქმეა. ამგვარი ამოცანის გადაჭრა შეუძლიან მხოლოდ იმ მწერალს, რომელიც შეიარაღებულია მეცნიერული ცოდნით, დაჯილდოვებულია მაღალი მხატვრული ნიჭით და საფუძვლიანად იცნობს ბავშვს მთელი მისი თავისებურებით. ლ. ბოცვაძეს ღრმად სწამდა, რომ აღმზრდელობითი ამოცანების სწორედ გადაჭრის მთავარ პირობას წარმოადგენს აღსაზრდელი ობიექტის ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინება. აქედან გამომდინარე იგი მწერლისაგან მოითხოვს, ბავშვის მომზადების დონის, მისი ინტერესებისა და მისწრაფებების შესწავლას, ბავშვის განვითარების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ თავისებურების გათვალისწინებას.

საბავშვო ლიტერატურამ რომ ხელი შეუწყოს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდას, ამისათვის, ლ. ბოცვაძის აზრით, იგი მრავალ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ ყოვლისა იგი მაღალმხატვრული გემოვნებით უნდა იყოს შესრულებული. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა მხატვრულ ნაწარმოებში „ფორმა და შინაარსი რგოლივით გადაბმულია ერთმანეთთან ისე, რომ ვერ ხედავ ერთის დასაწყისს და მეორის დასასრულს, სადაც ერთი მეორეს გულისხმობს (იქვე, გვ. 59). ნაწარმოების შინაარსი უნდა იყოს ზუსტი, მიმზიდველი და საინტერესო. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენის სიმარტივეს, სიწმინდეს და დახვეწილობას. „ყოველი საბავშვო საკითხავი წიგნი, სახელმძღვანელო და საკითხავი ჟურნალები უსათუოდ უნდა იწერებოდეს ბავშვებისათვის შეძლებისდაგვარად ადვილად გასაგები, მაგრამ აუცილებლად საზოგადო ლიტერატურის ენით და არა მხოლოდ ადგილობრივი კილოს მიხედვით,.. საზოგადო ლიტერატურული ენა, რომელიც წინ გვიძღვის დიდებულ სამშობლო ქვეყანას, ეკუთვნის მთელ ერთვნებას, რომელსაც საზოგადო ლიტერატურული ენა აერთებს და კერძო ადგილობრივი კილო-კი აცალკევებს („ივერია", 1899 № 3). იცავს რა მტკიცე პედაგოგიურ პრინციპს, რომ მოზარდი თაობის განვითარება უნდა მიემართებოდეს კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ, ლ. ბოცვაძე საბავშვო ლიტერატურისაგან მოითხოვს ამ პრინციპის მკაცრად გატარებას. „ჩვენთვის და ჩვენი ბავშვებისათვის, — სწერს იგი, — ყველაზედ უფრო ადვილი გასაგებია მშობლიური ჰანგები, მშობლიური ქვეყნის აღწერილობა, ადგილობრივი ბუნების მოვლენანი, ჩვენი წარსული ისტორიული ამბები და სხვა, რადგან ყველა ის ჩვენ სულში, გონებაში იპოვის მზა ნიადაგს შეთვისებისათვის; ამიტომ ყველა საბავშვო საკითხავ წიგნში ადგილობრივ ელემენტს უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს" („ივერია", 1898, № 78). რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ლ. ბოცვაძე არამშობლიური ხასიათის მასალის მიწოდების წინააღმდეგი იყოს. პირიქით, იგი არამშობლიური შინაარსის მასალის მიწოდების უდიდესი მომხრეა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც საამისოდ სათანადო ნიადაგი მომზადებული იქნება ბავშვისათვის ნაცნობი მახლობელი მასალის შეთვისების შედეგად.

ლ. ბოცვაძე საბავშვო ლიტერატურაში რეალიზმის მქადაგებლად გვევლინება. წინააღმდეგ მის დროს გავრცელებული აზრისა, რომ საბავშვო ნაწარმოები ბავშვს უნდა უჩვენებდეს ცხოვრებას მხოლოდ მისი მომხიბლავი და ლამაზი მხრიდან, რომ ბავშვს არ უნდა გავაცნოთ ცხოვრებაში არსებული მახინჯი მოვლენები, კლასთა შორის არსებული უთანასწორობით შექმნილი, ლ. ბოცვაძე ბავშვის მიერ ცხოვრების ცალმხრივად ჭვრეტის სასტიკი წინააღმდეგია. ბავშვებმა, — სწერს იგი,—„უნდა იცოდნენ, რომ არსებობს მწუხარება, ტანჯვა და სიკვდილიც ან, პოეტის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „იცოდნენ რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრება". მაგრამ ყველა ამას ნორჩი თაობა თანდათან უნდა ეცნობოდეს" („განათლება", 1910 წ., № 2, გვ. 62).

გარდა ამისა, საბავშვო ლიტერატურა, ლ. ბოცვაძის აზრით, ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ზნეობრივ განვითარებას. მან უნდა აღმოფხვრას მასში უარყოფითი მხარეები და განავითაროს დადებითი. ბავშვისათვის საკითხავი მოთხრობები მოკლებული უნდა იყოს უზნეო სცენებს, ბავშვი უნდა მოარიდო ყველაფერს, რასაც კი შეუძლიან ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს,. სამაგიეროდ გამბედაობა, სიმტკიცე, შეურყეველობა, სულის სიმაგრე, — აი რა უნდა შესძინოს ბავშვს აწინდელმა საბავშვო ლიტერატურამ" (იქვე, გვ. 67). ბავშვის გრძნობათა გაფაქიზების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ლ. ბოცვაძეს მიაჩნია ჭეშმარიტ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობისა და ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებნი. „კარგი საბავშვო წიგნი, სადაც აღწერილია გმირთა ცხოვრება, ავითარებს ბავშვში მამაცობას... საყვარელი წიგნის გმირების იდეები, როგორც მძლე, მოძრავი ძალა, აქეზებს ბავშვებს, მათი მიბაძვის ძალით დაემსგავსონ საყვარელ გმირებს. ხშირად საბავშვო წიგნს გადაუწყვეტია მთელი მომავალი ბედი ადამიანისა" (იქვე, გვ. 62-63). მაგრამ ისტორიული შინაარსის მოთხრობებს სხვა მნიშვნელობაც აქვთ. ისინი ბავშვში ავითარებენ მაღალ პატრიოტულ გრძნობებს. ამიტომ მოითხოვს ლ. ბოცვაძე, რომ „მივმართოთ ჩვენს წარსულ ისტორიას და ჩვენი ბავშვების სულიერად ხელმძღვანელობისათვის ამოვკრიბოთ ის დიდებული მოგონებანი ჩვენის წარსულიდან, რომლითაც საბუთი გვაქვს ვიამაყოთ"

ლ. ბოცვაძეს კარგად ესმოდა საბავშვო ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა, ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვდა მის გაჯანსაღებას, საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის შექმნას, რადგან ჯანსაღ ლიტერატურაზე აღზრდილი „საღი ახალთაობა, როგორც ხე სადი ფესვებით გაახარებს მშობლებს და აღმზრდელებსაც" („ივერია", 1898, № 78).

ლ. ბოცვაძის შეხედულებანი საბავშვო ლიტერატურის შესახებ საღ პედაგოგიურ პრინციპებს ემყარებიან და მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალური მნიშვნელობა ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის.

## რაჟდენ გვეტაძე

# ბარდაბარ

მთელი ზამთარი და გაზაფხული პოლკმა ცხარე ბრძოლებში გაატარა. ზაფხულში პოლკი ყუბანში გადავიდა და გელენჯიკის მთებში გამაგრდა.

მთების ერთ მხარეს შავი ზღვა იყო, მეო-

[illegible]

ბალახი ალაგ-ალაგ დაფარული იყო შეყვითლებული ნეშოებით. ჩამოცვენილი რკო ზოგან მცირე ხვავებად ეყარა. ნოდარმა ქუდი მუხის ტოტზე ჩამოჰკიდა, საკინძე გაიხსნა, მკლავები დაიკარწახა, მუხის ფოთოლი მოწყვიტა და წყაროს თვალზე აყალო მიწით დაამაგრა. მერე ფოთოლს პეშვი შეუშვირა, ხელპირი დაიბანა, პეშვითვე წყალი შესვა, ცხვირსახოცით სახე შეიმშრალა და იქვე მოლზე დაჯდა, საიდანაც მკაფიოდ მოჩანდა ცის კიდემდე გაშლილი ზღვა.

მზე ზღვაში ეშვებოდა. დაწყნარებულ ზღვის ტალღებზე მზის მეწამული სხივები თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდნენ. მალე ცეცხლის უზარმაზარი დოლაბი ერთბაშად ზღვაში ჩავარდა. მზე აღარ ჩანდა, მაგრამ მისი შუქით ცის დასალიერი კვლავ დიდხანს ვარვარებდა.

სიომ დაჰქროლა.

ფიქრში გართულ ნოდარს თითქმის შეუმჩნეველი დარჩა მზის ჩასვლისას უხილავის ხელით წარმტაცად შექმნილი სურათი. მისი გონება სხვაგან, საქართველოში იყო.

კავკასიის ქედებს მიმდგარი ურდო საქართველოში შეჭრას ლამობდა. ქართველი ხალხისათვის საბედისწერო ჟამი დგებოდა.

ეს აწუხებდა.

— ამხანაგო ექიმო!—მოულოდნელად მოესმა. მყისვე გვერდზე მიიხედა. შეცბა. დარაჩის თეთსთან შეჩერებულ უცხოს მიაშტერდა.

(„ლიტ. და ხელოვნება" გვ. მე-2).

— შენ... კორენკო ხარ?—წამოიძახა გაკვირვებით, ზეზე წამოიჭრა, ახლად მოსულს ყელზე მოეხვია, გადაჰკოცნა. მერე უკან დაიხია და თვალი შეავლო,—ეს კი მართლა საოცარია. აქ როგორ გაჩნდი? დაჯექ, მი-

[illegible]

ყუბანური, თეთრ ცაზე ჯვარედინად სირმა გადავლებული, ბოხოხი ეხურა. წაბლისფერი წვერი მარტო ლოყებს უმალავდა, ღაწვები კი ხელისგულივით უბუსუსო ჰქონდა. წინად ბავშური სიხალისით მუდამ სავსე რგვალი, დიდრონი ცისფერი თვალები, ახლა შურისძიების ფარული სურვილით ჰქონდა აღგზნებული. ღიმილს გადაჩვეულიყო. მიუკარებელი ჩანდა.

— მემდური?

— აბა რას ამბობთ!—სცადა გაღიმება კორენკომ.

— მაშ, რად მიცქერი ასე კუშტად? მოდი. ვგონებ წელიწადი იქნება, რაც ერთმანეთს დავშორდით. ხმა ამოიღე. მეც ბევრი რამ მაქვს სათქმელი—მიმართა ნოდარმა და გაშლილი ხელი მოლს დაარტყა,, ანიშნა—აგერ, ჩემს ახლო დაჯექიო.

კორენკო წამოწვა, მარცხენა ხელის იდაყვს დაეყრდნო, იმავე ხელით ბალახს წიწკნა დაუწყო, თანაც ჯერ ადრინდელი ალერსით ნოდარს სახეზე შეხედა, მერე მხრებზე შეავლო თვალი.

— მაიორი გამხდარხარ, მომილოცავს. მარინაც დაწინაურებულა, წითელი დროშის ორდენი მიუღია. საექიმო პუნქტში შევხვდი, ველარ ვიცანი, მთლად ვაჟკაცის იერი აქვს. ექიმმა რეჩკოვმა მითხრა—ცეცხლიდან ასოცი დაჭრილი იარაღიანათ მარტომ გამოიყვანაო. ეს გმირობაზე მეტია. —კორენკოს კილოც სხვანაირი ჰქონდა.

—შენ ეს მითხარი, აქამდე სად იყავი, ან ახლა რას აკეთებ?

—დნეპრზე გადმოსვლისთანავე მედსანბატში გამგზავნეს. მერე ხარკოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში ვიწექი,—დაიწყო მან უბრალოდ, —განკურნებული კარგახანს ვეხეტებოდი უსაქმოდ, სხვა ნაწილში არ მიმიღეს—ცალხელა კაცი რაში გამოგვადგებიო. ჩვენს პოლკს დაუწყე ძებნა. მოგაკვლიეთ. მივედი იმ დაბაში, სადაც დასასვენებლად იდექით, მაგრამ ფეხათ გაგესწროთ.

—მართლა?—გაბრწყინებული თვალებით წამოიძახა ნოდარმა.

—დიახ. ისე მოეწყო ჩემი საქმე, რომ გერმანელებს დაბაში დავხვდი,—კორენკო წამოიწია, ქუდი მოიხადა,—პირველ დღიდანვე ნამდვილი ჯოჯოხეთი დაატრიალეს. განსაკუთრებით ერთ გოგოს მიექცენ განუკითხავად. თურმე, იმ გოგოსთან სახლში ადრე ერთი ქართველი ექიმი მდგარა. შემდეგ ჩასახლებულიყო გერმანელი ოფიცერი, რომელსაც ქალის გაუპატიურება მოენდომებია. ქალს ოფიცერი მისივე რევოლვერით მოეკლა. ამისგამო გერმანელებმა ქალი თოვლში მოედანზე გამოიყვანეს, გააშიშვლეს, ელექტრონის ბოძს მიაკრეს და მანამდე ასხეს წყალი, ვიდრე ყინულად არ იქცა. ასე მიამბეს. მართლაც დაბიდან გამოპარვის წინ, საკუთარი თვალით ვნახე გაყინული ქალი. მას აქეთ ეს სურათი გონებიდან არ მშორდება.

ნოდარს ნაცრისფერი დაედვა. სუნთქვა შეეკრა.

კორენკომ მიხვდა ვინც იყო იმ ქალის სახლში ნაცხოვრები ქართველი ექიმი. ინანა რად ვუამბეო. ცოტახანს დაფიქრდა. მერე უცებ ჩანთა მოიხსნა და ნოდარს გაუწოდა:

— დნეპრთან ნავში რომ მომაბარე, ხომ გახსოვს? სამახსოვროდ ვატარებდი დღემდე. ახლა უკანვე გიბრუნებ.

— მერე, მერე სად წადი? —სიზმარში მყოფივით ჰკითხა ნოდარმა და ჩანთა ჩამოართვა.

— რახან ჩვენი პოლკი ველარ ვნახე, შინ დავბრუნდი, კრასნოდარში. როდესაც გერმანელებმა აქაც მოაღწიეს, პარტიზანად გავედი. ახლა სადაც წავიწევი, მოგეცა ლხენა, მათ მე დღეს ვაყრი. ისე გავიწაფე, მარცხენა ხელით უფრო პირდაპირ ვურტყამ ნიშანში.— ნოდარს კარგად აღარ ესმოდა, რასაც კორენკო ლაპარაკობდა. გონებაში გაყინულ ვასილისას ამბავი უტრიალებდა მხოლოდ. ცალხელა კი განაგრძობდა:—ჩემი პარტიზანებიც ამ მთებში არიან შეხიზნულნი. ერთ ნაცნობ სანიტარს წავაწყდი, საექიმო პუნქტში მიმიყვანა. იქიდან კი პირდაპირ შენსკენ გამოვეშურე.—კორენკომ ჩამობნელებულ ერისიონს გახედა,—ძველი მეგობრებიდან ცოტანი-ღა შეგრჩენია. რა გაეწყობა!—დაუმატა ბოლოს.

ნოდარი გაყუჩებული იჯდა.

ერთხანს კორენკოც ჩუმად იყო. მერე წამოდგა.

— მთვარე ამოდის. დროა წავიდე. ბიჭები მელოდებიან. რახან მოგაგენი, ისევ გნახავ მალე. — თქვა მან და ნელა გაბრუნდა.

* * *

გერმანელებს კაბარდინკას უღელტეხილის კალთები ეჭირათ. ზევით თხემებზე პოლკი იყო ჩასაფრებული და გელენჯიკში მთაზე გადამავალ გზის ყელს იცავდა. ერთი კვირა იქნებოდა, ორივე მხარე დუმდა.

უკანასკნელი დღეც წყნარად დაღამდა. განსხვავება ის იყო, რომ მთვარის ბრე ტყეს აღარ ეფრქვეოდა. სამაგიეროდ ცის თაღი უფრო ხშირად და ახლო-ახლო იყო ვარსკვლავებით მოჭედილი.

შუაღამისას ერთბაშად მთა შეირყა. ტყემ გუგუნი იწყო; მეხთა მსხვრევა, ზათქი და გრიალი მძაფრდებოდა. უთვალავი ლაღუმების აფეთქებით თითქოს ქარაფები ლოდებად იროვევოდნენ. აზვავებული მთები იშლებოდნენ. ეს პოლკის არტილერიის მძვინვარე ცეცხლით ზანზარებდნენ მთები. პოლკის არტილერია ზედიზედ გამალებით უშენდა ტყიან ტაფობზე მორებით გადახერგილ და ეკლის მავთულებით დაქსელილ მტრის წინა პოზიციებს. ლითონის მორგვები გრგვინვით ცვიოდნენ გერმანელთა სანგრებში. მუხნარი ილეწებოდა, ყუმბარებით აყრილი მორები ჰაერში ტრიალებდნენ.

სამი საათის განმავლობაში არტილერიამ გავარვარებული ჭურვებით მთელი ტაფობი გადათხარა. გარიჟრაჟზე ქვეითი ჯარი შეტევაზე გადავიდა. თხემებიდან ნიაღვარივით დაძრული წითელარმიელთა ლაშქარი მტერს ჯიქურ მიეჭრა და პირდაპირი დარტყმით უკუაქცია. დადევნებული მეომრები სულისმოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს.

ნოდარი ბრძოლის ველზე იყო. გამარჯვებით გახარებული თამამად გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე და ცდილობდა თვითეული დაჭრილი დროზე ყოფილიყო გაყვანილი სამშვიდობოზე.

სანინსტრუქტორების რაზმის ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა, ამიტომ მარქაფში დატოვებულ სანიტრებს ნოდარმა სავსე ტელეფონით სასწრაფოდ გამოუძახა. სატელეფონო წერტილიდან გამობრუნებული უცებ შედგა, მერე წაბარბაცდა. უნდოდა თავი შეემაგრებინა, მაგრამ ველარ შეძლო და პირქვე დაეცა.

„დამჭრეს" — გაუელვა. წამოდგომა სცადა, ტანი ველარ ზიდა.

ტაფობის ბოლოდან სროლის ხმა და ხმაური თანდათან ზევით წამოვიდა.

„ტაფობის დაბრუნებას ცდილობენ!" — გონებაში ბუნდოვნად წარმოუდგა პირაქეთ იერიშზე გადმოსულ მტერთან ბრძოლა და გული დაწყდა, რომ განსაცდელის დროს ასე უმწეოდ ეგდო.

ამ დროს სანიტარი ხოხვით მიუახლოვდა. იქვე ჭრილობების შეხვევის დრო აღარ იყო. მტერი წინ მოიწევდა.

— ამხანაგო მაიორო, როგორმე ზურგზე მომექეცით. — უთხრა სანიტარმა.

ნაცნობმა ხმამ დაჭრილს ჟრუანტელი მოჰგვარა.

— ვერ მზიდავ. — ნაღვლიანად, თანაც მადლობით სავსე ხმით უპასუხა.

— ჩქარა! — ახლა ბრძანების კილოთი ჩასძახა ყურში სანიტარმა, თითქმის ძალით ზურგზე შეიწვინა და მყისვე ხოხვით წავიდა.

სანიტარს მალე დაღლა დაეტყო. ნოდარი ცდილობდა ტანის შემსუბუქებას, ხელებით მიწას ეყრდნობოდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მშველელს უძნელდებოდა ტვირთის ზიდვა. ქშინავდა. გული ბუდიდან უვარდებოდა. სანიტარი ცოტახანს შეჩერდა. სული მოიბრუნა. მახლობლად მტრის ნადგომი მიწური შენიშნა. პირდაპირ კეშურა, დაჭრილი ზურგიდან გადმოცურა, წამოდგა, დაჭრილიც წამოაყენა, როგორც იქნა მიწურში ჩაიყვანა და გერმანელის მიერ მიტოვებულ ლოგინზე დააწვინა. უნდოდა ჭრილობების შეხვევა დაეწყო, მაგრამ უცებ მიწურის თავზე უკან დახეულთა ფეხების ბაგა-ბუგი ატყდა, თანაც გაისმა „ჰაილ ჰიტლერ". სანიტარმა რევოლვერი მოიმარჯვა და მიწურის კარს გაფართოებული თვალები მიაპყრო. დაჭრილმაც ამოიღო რევოლვერი, მაგრამ სისხლისაგან დაცლილს ხელი აუთრთოლდა.

მალე მიწის საფეხურებიან კიბეზე გამოჩნდა მაშლის ფეხებივით ყვითელი ჩექმები. ეტყობოდა, მიწურში დაბრუნებას რამდენიმე გერმანელი ერთად აპირებდა. სანიტარმა მაშინვე ესროლა. მიწურის კარები დახოცილ გერმანელების გვამებით ამოიყორა.

სანიტარს დაცლილი რევოლვერი ისევ კარისკენ ჰქონდა მიშვერილი, როცა მიწურამდე „ურას" ძახილმა მოაღწია. ცოტა კიდევ და ხელჩართულ ბრძოლაზე გადასულთა ამ ძახილმა გრგვინვასავით გადაუარა თავზე მიწურს.

„ჩვენები მიერეკებიან"!—გაიფიქრა სანიტარმა, რევოლვერი გვერდზე გადააგდო, მასთან მივიდა, მარჯვენა ფეხზე შარვლის ტოტი შემოახია და ნატყვიარების შეხვევას შეუდგა.

საქმეში გართულ სანიტარს შორიდან კვლავ შემოესმა „ჰაილ ჰიტლერ". გერმანელთა ხმაური თანდათან უახლოვდებოდა მიწურს.

— ძაღლები... ჩანს ისევ მოგვაწვნენ! — ახლა ხმამაღლა თქვა სანიტარმა და სიფრიფანა, ქათქათა ფალასის ბოლოები საჩქაროდ შესკვნა, დაჭრილს ხელში შერჩენილი რევოლვერი გამოართვა და წელში გასწორებულმა კარისაკენ იბრუნა პირი.

უკან დახეულთა და მდევართა ფეხების ხმა უცნაურად ჩამოდიოდა მიწურში. ჭერი ირყეოდა. გადებულ ძელებს შუა დარჩენილ ღარალებიდან ფხვიერი მიწა, როგორც საცრიდან ისე ცვიოდა.

სანიტარი და დაჭრილი სულგანაბული იყვნენ. ცდილობდნენ გონების თვალით წარმოედგინათ, რაც მათ ზევით, მიწურის თავზე ხდებოდა. ცოტახნის ლოდინის შემდეგ ორთავეს სახეები გაუბრწყინდათ. გერმანელთა ყვირილი ისევ მჭექარე „ურას" ძახილმა შეცვალა და მიწურში ერთბაშად შემოიჭრა გამარჯვებულთა ყიჟინა:

— სტალინისათვის!

სანიტარმა მომართული რევოლვერი დაუშვა, დაჭრილს მიუახლოვდა და ღიმილით უთხრა:

— ახლა ბარდაბარ ვართ. შარშან დნეპრთან შენ გადამარჩინე, დღეს მე გიხსენი, — მარინამ არაყიანი მათარა მოიხსნა და ნოდარს მიაწოდა, — დალიე!

## კონსტანტინე კაპანელი
# პატრიოტული დრამა

...იმბოლიურ „ბერდო ზმანია"-დან რეალისტურ ...ტორიულ დრამამდე —„კრწანისის გმირებამდე" სანდრო შანშიაშვილმა ვრცელი შემოქმედებითი გზა გაიარა. თავის უკანასკნელ ისტორიულ დრამაში მწერალმა თვალწინ გადაგვიშალა საქართველოს ყოფა-ცხოვრება ერეკლე მეფის აღა-მაჰმად-ხანთან ომის პირობებში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დრამა თავისი შინაარსით უაღრესად ისტორიულია, თუმცა ადგილ-ადგილ ავტორი ათავისუფლებს ისტორიულ სიტუაციებს, ტიპებს, რეალურ ადამიანებს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ საქართველოს ისტორიის სხვა წყაროებიდან.

პიესის პირველი მოქმედება იწყება ნავთლუღის სამხედრო ბანაკის ჩვენებით: ...გაუშლია კარვის წინ საგზალი, ნადი...მობს, ერეკლე მეფის სადღეგრძელოს სვამს. შემდეგ დრამა რთულდება: იწყება ომის პროცესი და მასთან ქართველი ხალხის მრისხანე ამოქმედება თავდაცვისათვის, ერეკლე ემზადება, მოღალატე ციციშვილი თავის ძმისწულს აბამს. მალე მოდის ამბავი, რომ ორბელიანი ტყვედ ჩაუვარდა აღა-მაჰმად-ხანს. ამ ვითარებაში ჩნდება კეთილშობილი სახე დიდი ქართველი პატრიოტისა — სოლომონ ლეონიძისა: ლეონიძე ჩუმი და დიდი პატრიოტია, საქართველო მას მთელი თავისი არსებით უყვარს. ის დინჯად ითმენს მეფის გაფიცხებას, მაგრამ მეფეს არასოდეს არ ღალატობს. ხოლო როდესაც მეფე მას წყენისათვის პატიებას სთხოვს, ლეონიძე დინჯად და სიყვარუ... [illegible]

...ადამიანური გრძნობები, ღრმა განცდები, სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარული.

შესანიშნავია თედოსა და ერეკლე მეფის შეხვედრა: ბნელი ღამეა, ქარიშხალი და ავდარი. მოხუცი თედო გათენაშვილი იგონებს თავის შვილს გელას, რომელიც ომშია და რომელსაც გამარჯვებულს ელის მოხუცი მამა. ამ დროს კარებს ვიღაც აკაკუნებს და გათენაშვილს იძახის. „მგზავრი ღვთისაა, მოდი, ძმობილო", — ამბობს ქართული ტრადიციის ერთგული გათენაშვილი და მიიღებს უცნობ მგზავრს. გათენაშვილი ხედავს, რომ მგზავრი ძალზე დაღლილია, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს და როდესაც გაიგებს, რომ მგზავრი თბილისიდან არის, მოუთმენლად ეკითხება: „მაშ შენ ამბავი გეცოდინება.., რად სდუმხარ, ძმაო? შენი სახელი?" მგზავრი უპასუხებს, რომ მას თავის სახელი მოსძულებია.

მშვენიერი ფსიქოლოგიური მომენტია მოცემული საუბარში: აღმოჩნდება, რომ გათენაშვილს სამი შვილი სამშობლოსათვის შეუწირავს, ომში დაუკარგავს. თვითონაც მიუღია მონაწილეობა ომში და ერეკლე მეფესთან ყოფილა, დაჭრილია შუბლში. ხანგრძლივი საუბრის დროს გამოირკვა, რომ ერეკლე დამარცხდა, მაგრამ გათენაშვილს, როგორც დიდ პატრიოტს, ერეკლე მეფის დამარცხება არა სჯერა: „სადაური ხარ?"—ეკითხება გათენაშვილი მგზავრს. „ქართველი" უპასუხებს მგზავრი: „მერე ქართველი მაგას რად იტყვის?" ამაღელვებელი გამოთქმაა ეს ქართველი გლეხკაცისა, რომელიც უღრმესი რწმენითა და სიყვარულით არის გამსჭვალული თავის სამშობლოსადმი. გათენაშვილი ნანობს, რომ შეუშვა უცნობი მგზავრი, რომელმაც უთხრა, ერეკლე მეფე დამარცხდაო.

— „რაებს მიქარავ?—იძახის ის აღშფოთებით—პატივისცემა სტუმრისა, თორემ ეხლავე სახლიდან გაგაგდებდი... ამ პირჯვრის მადლმა, მაგნაირ ჭორებს უვრცელებენ მოსისხლე

მტრები... არც შენ მგონიხარ მისი მოკეთე...
დამარცხდა ჩვენი მეფე ერეკლე?
სამოცი ომი გადაუხდია და ეს ამბავი კაცს არ სმენია.
ერეკლეს ზურგი არავის უნახავს, თუ არ პირისპირ მტერს და მოყვარეს.
დამარცხდა მეფე ერეკლე?
მისი დამარცხება როგორ იქნება, როცა მას ტახტად ხალხის გული აქვს?"

მართლაც ძნელია ასეთი ქვეყნის დამარცხება, სადაც გათენაშვილები ცხოვრობენ. დიდია სანდრო შანშიაშვილის „კრწანისის გმირების" პოლიტიკური მნიშვნელობა საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, კერძოდ, სამამულო ომის ვითარებაში. „კრწანისის გმირები" დიდხანს შერჩება ქართულ სცენას.

ამ ნაწარმოებში საინტერესოდ არის გადმოცემული სახე აღა-მაჰმად-ხანისა. იგი ხედავს, რომ მისი ძლიერება თბილისის კედლებთან ისპობა, რომ მას ბოლო უნდა მოეღოს თბილისში. მას ეშინიან ერეკლე მეფისა. „მისი სარდლები იხოცებიან, დროშები იქელებიან". მზად არის მიატოვოს თბილისი, მაგრამ სანუგეშოს არც ირანში მოელის იგი. „აქ სიკვდილი გირჩევნიან, ირანში მისვლას",—ეუბნება ჯაფარი აღა-მაჰმად ხანს. ეგრე დახშულია ერეკლე მეფის მტრების პერსპექტივები სანდრო შანშიაშვილის სწორი ისტორიული ასახვით. როგორც ცნობილია, აღა-მაჰმად-ხანმა ვერც მიაღწია ირანს.

მართალია აღა-მაჰმად-ხანი გამოყვანილია დეგენერატად, პათოლოგიურ ტიპად, მაგრამ [illegible]

...იგი გამარჯვებას ნიშნავს,—ამბობს მთელს პიესაში სანდრო შანშიაშვილი.

შანშიაშვილის ტრაგედიის დიდი ისტორიული ღირსება მის რეალისტურ თვისებებშია: მთავარი გმირი ერეკლე მეფე მოცემულია, როგორც ნამდვილად ტრაგედიული ფიგურა. მეფე ერეკლე მძიმე მდგომარეობაშია არა მარტო იმიტომ, რომ მას მარცხი მოელის ბრძოლის ველზე, არამედ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ მარცხს ამზადებს და ხელს უწყობს საზოგადოებრივ-ოჯახური ცხოვრების ვითარება. ერეკლე მეფე თავის ოჯახშიაც მძიმე გარემოცვაშია. ცოლი ანდერძის გამო ხელს უშლის. ღალატობენ შვილები, ისეთი მახლობელი პირი და ნათესავი, როგორიც არის რევაზ ციციშვილი, მთელი თავისი ენერგიით ცდილობს ერეკლეს დამარცხებას. სანდრო შანშიაშვილი შორსმხედველი პოეტია: მან გვიჩვენა, რომ შეიძლება კაცი ძალიან დიდი პიროვნება იყოს და იმავე საკუთარ ოჯახში იგი თავს ისე გრძნობდეს, როგორც უდაბნოში. ერეკლეს დიდი სახელი აქვს ხალხში, არავის სჯერა მისი დამარცხება. ამას მოწმობს გათენაშვილის საუბარი და პატრიოტული ზრახვა. მაგრამ ერეკლე მეფე საცოდავად გამოიყურება, როგორც მამა და ოჯახის წევრი, როგორც ქმარი. შანშიაშვილმა აქ გააღრმავა ისტორიულად შესაძლებელი და ამოიკითხა ისტორიის ხვეულებიდან ის, რაც შესაძლოა მომხდარიყო და რის გარკვეული ისტორიული ჩვენება არა გვაქვს.

მაგრამ ის კი ცნობილია, რომ სასახლეში [illegible]



მხედარი. ეტიუდი. ნახ. ვ. სიდამონ-ერისთავისა.

## ალიო ადამია
### უგალობს დიდი ზაფხულის მოსვლას

გარეუბანში იდგა ეს სახლი,
მყუდრო, ხეების ჩრდილდაფარული,
მოფრინდებოდა მაისს მერცხალი
და ეღურტულებდა მთელი ზაფხული.

ეზოში მკვირცხლი გოგონა ხტოდა,
როგორც ყვავილის ნორჩი ზმანება,—
ის მერცხალივით ასხამდა ხოტბას,
ზაფხულის მოსვლას და მობრძანებას.

კვლავ დათქმულივით მოფრინდა შარშან,
მაგრამ ნისკარტზე შერჩა ეღურტული,
არ იყო ბავში, არ იყო ბაღჩა
და სახლი იყო კარდახურული!

ვერ იგალობა ხოტბა ლექსივით,
ფრთები არ გაჰკრა წყაროს სიჩქარით;
ფანჯრები იყო ამოგლესილი
და დარაზული იყო ჭიშკარიც

დაეტყო სევდა გალობის ხმაში,
(ამაოხრებელს ალბათ სწყევლიდა),
მაკრატელივით აიჭრა ცაში,
ამ სახლს გაშორდა და განერიდა!

შემდეგ, ჩვენებმა როცა შებოჭეს,
და მიმოლეწეს მტრების ჯარები,—
[illegible]

### ის მომძახოდა სიტყვაუთქმელი

შემოღამა,—როგორც ოდესში
ზღვის სილაჟვარდე შორით ბრწყინავდა;
და ჯერ გამოჩნდნენ დიდის ბოდიშით,
მერე კი დასხდნენ ცაზე წყვილადა

ვარსკვლავნი,—ენთნენ და თითო-თითოდ
ციმციმი ჰქონდათ რაღაც მისნური,
სიბნელე იყო და მაინც თითქოს
ნათელი იყო ცამდე მისული!

სწორედ ის სახლი, იგი სარკმელი,
გოგონაც იქვე მდგარი ჩინარად!
მე ერთი სიტყვა მისთვის სათქმელი
გამეცალა და გაუჩინარდა.

და ჩანდა იგი როგორც განგება
მე კი ველოდი მღიმარსახიანს,
მოველ—ღიმილი არ შემაგება,
და თვალწამწამიც არ შეარხია!

ავიჭერ სახლში... ისევ მორჩილი,—
ვთქვი—კედელზეა მიმოხატული:
მარჯვენა ხელი ჰქონდა მოჭრილი,
და თეთრი მკერდი ტყვიით გახრული...

შენგან აილო მტარვალმა სისხლი,
და ნეტარება გულით ატარა?
მე მეხისტეხა ვიყავი მტრისთვის
შენ რა იყავი ქალო პატარა?!

გავიჭერ მტერთან შეხლის მსურველი,
ჩემი მახვილი მას არ აცდება!
ის მომძახოდა სიტყვაუთქმელი:
სისხლი სისხლის წილ და დანაცრება.

1943 წ.

# 104 წლისთავი აკაკი წერეთლის დაბადებიდან

## სოლომონ ცაიშვილი
# აკაკის ორი წერილი

აკაკი წერეთლის ქვემოდმოყვანილი ორი პატარა ბარათი სხვადასხვა დროს არის მიწერილი ქართველ ლიტერატორ და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგიასთან.

პირველი წერილი დათარიღებულია და გარკვეული შინაარსის მატარებელიც, იგი პასუხია ადრესატის იმ შეკითხვისა, რითაც მას აკაკისათვის მიუმართავს და რისთვისაც პოეტს თავისებური და მეტად საგულისხმო ახსნა მიუცია.

ხოლო მეორე ბარათის დათარიღებისათვის ისევ მეუნარგიას საოჯახო არქივსა და ოჯახის ზოგიერთ წევრს მივმართეთ. გამოირკვა: აკაკი, როგორც წერილშიაც აღნიშნავს, პარასკევს ღამით ჩასულა ფოთში. შაბათს ლექცია წაუკითხავს ფოთის მოწინავე საზოგადოების თხოვნით (მაშინ ახალი ნაიუბილარი იყო პოეტი). კვირასაც დარჩენილა და ფართო საზოგადოებაში სურათი გადაუღია. შემდეგ სადილი და საღამო გაუმართავთ დიდი პოეტის პატივსაცემად, ხოლო ორშაბათს დილით გამგზავრებულა იონას ოჯახიდან და მის უფროს ქალისთვის (მაშინ პატარა სალომესთვის) შემდეგი ლექსი უძღვნია:

სალომე იონას ასულს მეუნარგიას.
როცა გათხოვდე, უთხარი შენს ქმარს,
რომ ბავშვიც იყავ შენ საყვარელი
და სამეგობროდ მხცოვან მგოსანმა
გამოგიწოდა შენ გრძნობით ხელი.

აკაკი

1909 წ. აპრილის 27 დღესა.

[illegible]

...ღამეს (24 აპრილს) ჩასულა. ეს დღეები აღნიშნულ თარიღებს მართლაც ხვდებიან.

აღნიშნულ წერილს აკაკის პოემის „ვორონცოვის" დაწერის დათარიღებაშიც ერთგვარი წვლილი შეაქვს.

ი. გრიშაშვილმა, როცა ეს პოემა „მნათობში" (№ 1, 1935) გამოაქვეყნა, არაუადრეს 1905 წლის დაწერილად მიიჩნია, ხოლო აკაკის საიუბილეო გამოცემის მესამე ტომში (პოემები) ეს აზრი უფრო დაზუსტა და პოემა 1905 წელს დაწყებულად და 1909 წელს დამთავრებულად სცნო. იგივე [illegible] ბერძენიშვილმა თავის [illegible] (იხ. „აკაკის საიუბილეო კრებული", გვ. 222), იმ განსხვავებით, რომ ის უფრო უახლოვდება პოემის დამთავრების თარიღს.

მოყვანილი ბარათით ირკვევა, რომ 1909 წლის აპრილში აკაკი ჯერ ისევ პოემისათვის მასალის ძებნა-შეკრებაში ყოფილა გართული, რაც ნიშანია იმისა, რომ იგი 1905 წელზე უფრო გვიანდელი მოფიქრებულია. ამას თვით პოემის აღნაგობაც ამჟღავნებს, რომელსაც ხუთი წლის მუშაობის დაღი არ ემჩნევა.

აი თვით წერილების ტექსტიც:

„ძმაო იონა

ბატონობა დიდი ხანია გადავარდა და ძმობაც აღარსად არის, მაგრამ მაინც სიტყვის მასალათ მეორეს ხმარება სჯობია.—შენი წერილის პასუხი თუ აქამომდე ვერ მოგწერე, მიზეზი ჩემი ავადმყოფობა იყო. და ან რა უნდა მომეწერა? ისეთ რამეს მეკითხები, რომ პასუხის მიცემა ძნელია... „ენის მხრით რომელი უფრო მოგწონს შენი ლექსიო"—მეკითხები და მე დღემდი ბევრი მომწონდა, მაგრამ დღეს კი „ივერიაამ" ისე ამრია, რომ აღარ ვიცი, როგორ გავარჩიო... მე მგონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარგა, რადგანაც ჩემი ენა თურმე მოიიმერლებს და არა მოიხევსურმოიბაჩანავებს!..

ბევრი რამ მქონდა მოსაწერი, მაგრამ ამ უკანასკნელმა შემთხვევამ და ქუთათურების [illegible]

...ზარება. მე უფრო შენი ნახვა მინდა, რომ ცოტა რამ მასალა გამოგტყუო ჩემი ახალი თხზულებისათვის: „ვარანცოვი".

წვეულება სრულიად საჭირო არ არის. თუ კი ვისმეს უნდა ჩემი ნახვა და მოხუცის ჩიფჩიფის გაგონება, ლექციაზეც მნახავს.

შენი მარად ენა-მწარე და გულ-ტკბილი მოყვარული

აკაკი".

## ვლ. ნორაკიძე
# აკაკის პიროვნება
### შენიშვნები ლ. ასათიანის მონოგრაფიის („ცხოვრება აკაკი წერეთლისა") გამო

აკაკი წერეთელმა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე სიჭაბუკის სული და მგზნებარე გატაცება შეინარჩუნა. ის არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა არსებაშიც სიბერის მოახლოვება ფარულად აჩლუნგებს აქტიურ, შემოქმედებით, სასიცოცხლო ძალებს.

აკაკიმ თითქმის დაძლია ბიოლოგიურ და სოციალურ გარემოთი განსაზღვრული ცხოვრების ნორმები, — მისი ცხოვრების გზა მარად აღმავალი იყო. თვით სიბერემაც ვერ ჩააქრო მისი შემოქმედების მგზნებარება. ის ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიგს, რომელთა ცხოვრება მთლიანად მობრუნებულია მყოფადისაკენ. ცხოვრება მათთვის ნიშნავს არა არსებობას მხოლოდ, არამედ ვალდებულებას და ქმნადობას. ასეთი იყო აკაკი. მთელი მისი სიცოცხლე აღვსილია იდეებით, ბრძოლით, შემოქმედებით, დამარცხებების მწუხარებით და გამარჯვებების სიხარულით. სასიკვდილო სარეცელზედაც იგი მოითხოვს წაუკითხონ მას თავისი უკანასკნელი პოემა. მას სიკვდილის წუთშიაც არ დაუკარგავს რეფლექსია თავისი შემოქმედების მიმართ. სიბერემაც ვერ შესძლო მისი სახის დამახინჯება. ცნობილია, რომ იგი ულამაზესი მოხუცი იყო.

აკაკის მთელი ცხოვრების საიდუმლოება სწორედ ეს მუდმივი სიჭაბუკეა. ამ მხრივ აკაკი, როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება, სავსებით შეუსწავლელი იყო. ეს ხარვეზი შეავსო ლევან ასათიანის უაღრესად საინტერესო, ვრცელმა გამოკვლევამ აკაკი წერეთლის შესახებ. ეს მონოგრაფია გამოქვეყნდა იმ დღეებში, როცა ქართველი ხალხი თავისი დიდი პოეტის დაბადების ასი წლის იუბილეს აღნიშნავდა.

აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორის თავიდანვე მიუქცევია ყურადღება აკაკის ცხოვრების სტილისა და ხასიათის ამ თავისებურებაზე, ამიტომაც მისი ცხოვრების შესახებ თხრობის წარმმართველ ფუძედ ისეთი ფაქტები მოუმარჯვებია, რომელნიც ასე სავსეა და იდეალურს ხდიან პოეტის ცხოვრებას. ყოველდღიურ ცხოვრების რუტინას, რომელმაც პოეტის დროის საკმაოდ დიდი ნაწილი შთანთქა, წიგნში მეტად უმნიშვნელო ადგილი ეთმობა. აკაკის ცხოვრებას წარმართავს მისი სიცოცხლის არსად ქცეული, — უმაღლესი იდეის, საქართველოსადმი სამსახური. ასეთი მაღალი ღირებულებისათვის თავდადება მისთვის შინაგან იმპულსად ქცეული ვალდებულებაა. აი ასე სწყვეტს ზემოხსენებულ საკითხებს მონოგრაფიის ავტორი.

წიგნში ნათლადაა ნაჩვენები თუ როგორ ჩაისახა პოეტში ასეთი მისწრაფება, ნაჩვენებია ის მომენტიც, როდესაც ეს გაუცნობიერებელი მოთხოვნილება იქცა ნებელობის გაცნობიერებულ მიზნად.

პოლონელი პატრიოტი როდზევიჩი დიდი პათოსით ესაუბრება მოსწავლე აკაკის მიცკევიჩის პოემის გმირის, კონრად ვალენროდის გმირული ქცევის შესახებ. ვალენროდმა სამშობლოსათვის დაივიწყა პირადი ბედნიერება, დასტოვა ოჯახი, და მთელი სიცოცხლე სამშობლოს მოსისხლე მტრებთან, ტევტონებთან ბრძოლას შეალია. როდზევიჩის ნათქვამი სიტყვები, რომ ჩამეწვეთა ყურშიო, წერს აკაკი, — „ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური?" ამ დღიდან პოეტს გამოაქვს მტკიცე გადაწყვეტილება მთელი თავისი ძალები შესწიროს სამშობლოს განთავისუფლების საქმეს.

იმის შემდეგ, როცა ნათლად ნაჩვენებია პოეტის ძირითადი მისწრაფების არჩევანის წუთი, ავტორი ბოლომდე მიჰყვება მისი ცხოვრების ამ წამყვანი მაგისტრალის ყოველმხრივ გაშუქებას. წიგნის ყოველი ახალი ფურცელი ცოცხლად და ხატოვნად ასურათებს პოეტის ნიჭის, მისწრაფების თანდათანობით გაფურჩქვნას, გაშლას, მისი ბრძოლისა და შემოქმედების ნაყოფის რეზონანსის თანმიმდევარ ზრდას. თვალწინ გვიდგათ უზარმაზარი შემოქმედებითი ძალის პოეტის ცოცხალი ხატი, რომელიც მრავალი ათეული წლების განმავლობაში, უშრეტი ენერგიით თავს ევლება თავის საყვარელ სამშობლოს, იჭრება ქართველი ხალხის დუხჭირ ცხოვრების ყოველ ბნელ თუ ნათელ კუნჭულში და ალესილი სარკაზმით თუ მაღალი პოეზიის ცეცხლით ახმაინებს მას. ჩვენს წინაშე იკვეთება სამშობლოსათვის, უმაღლესი ღირებულებისათვის თავდადებული პიროვნება, რომელმაც გარდა პირადი ყოფნისა, თავის ქვეყანას შესწირა, პოეტისათვის ყველაზე უძვირფასესი, ზოგადი ადამიანობის მოტივებითა და მაღალი პოეზიით ამღერებისათვის მოწოდებული თავისი პოეტური ჩანგი.

განსაკუთრებული ექსპრესიითაა მოთხრობილი აკაკის შემოქმედების როლი ეროვნული გრძნობის გაღვიძებისათვის. ნაჩვენებია, ხშირად ნაღარად ქცეული პოეტის ჩანგი, თუ როგორ ათბობდა კეთილშობილ პათოსს ხალხის გულში; აგრეთვე მოთხრობილია იმ ულრმესი სიყვარულისა და მადლობის შესახებ, რომელსაც გამოხატავდა მადლიერი ერი პოეტის მიმართ.

ამაღელვებლად გადმოცემულია იმ მრავალი ეპიზოდის აღწერა, როდესაც ქართველი მშრომელი ხალხი, პოეტის იდეით აღტაცებული, ესალმება საქართველოს პროვინციებში მოგზაურ პოეტს. ხალხის ეს პატივისცემა, სიყვარული წიგნის უკანასკნელ სტრიქონებში გამოსახულია ამამაღლებელი აპოთეოზით: — პოეტის დაკრძალვის შემდეგ „როცა ხალხი დაიშალა და ცაზე პირველი ვარსკვლავი ამოკიაფდა, თბილისის მეპურე მუშებმა, ორმოცამდე კაცმა სანთლები აანთეს მგოსნის საფლავზე და გარს შემოუსხდნენ დუმილით: ზოგი მათგანი ცხარე ცრემლს აფრქვევდა. აქ ისინი გვიანობამდე დარჩნენ, მათი წასვლის შემდეგ მდუმარებამ დაისადგურა მთაწმინდაზე. აქ მშვიდათ ეძინათ საქართველოს გოლიათებს".

აკაკი, როგორც პიროვნება ამ წიგნიდან ნათლად სდგება ჩვენს თვალწინ: ის არის მძლავრი, სასიცოცხლო იმპულსებით აღჭურვილი ჰარმონიული პიროვნება, რომელსაც ეს იმპულსები მოუწოდებს ამ ქვეყნად სიცოცხლით ტკბობის, სიამით ცხოვრებისა და უდარდელობისაკენ, მაგრამ პიროვნების არსში წამყვან სუბსტანციად შეჭრილა მაღალი მორალისადმი სამსახურის გრძნობა და იდეა, რომელსაც მთლიანად დაუმორჩილებია ეს დიდი ადამიანი, — იმდენად მძლავრია მაღალი ღირებულებისადმი თავდადების ტენდენცია, იმდენად ქცეულა იგი პოეტის პიროვნების არსად, რომ ნებელობის დიდი აქტივობის გარეშეც ეს იდეალური მისწრაფებანი ახერხებენ რეალიზაციას, პიროვნების ყველა ძალები ერთ ჰარმონიულ მთლიანში ერთდებიან. ეს ჰარმონია იქმნება არა სიცოცხლის სიამის, სიცოცხლის სიხარულის დათრგუნვის მეშვეობით, არამედ მაღალ იდეალებისადმი მისწრაფებისა და ჰედონისტური ტენდენციების ჰარმონიული შეწყობით. ამიტომ შეუძლია აკაკის ერთიდაიმავე დროს იყოს უმაღლესი მორალის მქადაგებელიც და ბოჰემაც, მაღალი იდეის ცეცხლიც დაანთოს მსმენელებში და იმავე დროს უდარდელი ღიღინითაც გაახალისოს იგი. პოეტის პიროვნების ხასიათის ეს თავისებური ჰარმონიულობა მოსჩანს მის ჰაეროვან პოეზიაშიც: მისი პოეტური შემოქმედების ყოველი მონაკვეთი, თვით საშინელ ბრძოლის სურათიც აღსავსეა სიყვარულით, შინაგანი სინათლით. თვით უკიდურეს სევდიან ამღერებაშიც სჩქეფს სიცოცხლისა და კერძოდ ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარული, ოპტიმიზმი და იმავე დროს თითქოს უდარდელობა.

ლევან ასათიანის გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკი წერეთლის შემოქმედების შესწავლისათვის. იგი ძვირფასი მასალაა ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, აგრეთვე მე-19 საუკუნის ქართული ინტელიგენციის, კულტურის ისტორიის განვითარების შესწავლისათვის. იგი უხვ მასალას იძლევა აკაკი წერეთლის ფსიქოლოგიურ-ქარაქტეროლოგიური პორტრეტის შექმნისათვის.

წიგნი უნაკლო არ არის. მთავარი ის არის, მონოგრაფია ყველა ეპიზოდში თანაბრად ძლიერი არ არის. ზოგჯერ სასურველი იყო პოეტის შემოქმედებისა და პირადი განცდების და მათი განმსაზღვრელი გარე ფაქტორების შორის ინტიმური კავშირის უფრო ღრმა ანალიზი.

საერთოდ კი ეს სერიოზული, ღრმად მოფიქრებული, სიყვარულით დაწერილი მონოგრაფიაა, რომელსაც აკაკი წერეთლის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

## ვ. დარასელი
# კავკასიური ნოველები
### 1. ასე იზრდება მთა

ჩვენი სოფლის კლდოვან მისადგომებზე შევხვდი სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ უცნობ კაცს. მაღლა, მთაზე ადიოდა, მაგრამ ხშირად ჩერდებოდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს, თითქოს რკინის ჩექმები სცმოდესო. სულ მალე მომიახლოვდა და კიდევაც შევნიშნე, რომ დაჭრილი იყო. მკერდზე ყვითელი და წითელი ფერის ნიშნები ეკეთა. ბრწყინავდნენ ორდენები. მზე თავის ოქროს აფრქვევდა მამაცების ვერცხლის მედალს.

ეტყობოდა, პირველად უნდა ყოფილიყო აქ. ან როდისმე იქნებოდა, ოღონდ ძალიან დიდი ხნის წინათ, ისე რომ აქაურობა უკვე დავიწყებოდა. მთისკენ ისეთი ადგილებით მიეშურებოდა, სადაც ბილიკიც კი არ იყო. გადავწყვიტე გამეფრთხილებინა.

— გამარჯობათ!

უცნობმა ვერ გაიგო ჩემი მისალმება ან არა და შეიძლება სულაც არა სურდა პასუხის მოცემა. სიბრაზე მომერია. როგორ ვაპატიებდი უცნობს ამ კადნიერებას? მაგრამ როდესაც შევხედე, განცვიფრებაში მოვედი: უცნობი ტიროდა.

მამაკაცი, მეომარი, გმირი და ტიროდა-კი... ცრემლები მარგალიტებივით ეცემოდნენ ძირს მთის მშრალ მიწაზე.

ადამიანს უნდა დაეხმარო განსაცდელში. ჭირ-ვარამი ზღვასა ჰგავს, ვერ შესვამ, ვერ ამოსწურავ.

— ამხანაგო, რა დაგემართათ? — შევეკითხე.

ის მაინც დუმილით განაგრძობდა წინსვლას. გამიკვირდა. ასეთი ვაჟკაცია და თავის შეკავება-კი არ შეუძლიან. ისე ტირის, როგორც ნაწყენი ბავშვი. კვალდაკვალ გავყევი და უცბად დავრწმუნდი, რომ მისი ცრემლი ადამიანური იყო, რომ უძირო იყო მისი სევდა. და განა მართალი არ არის, რომ წმინდა ცრემლი მხოლოდ მარტოობაში დაღვრილი ცრემლია... დაე, იტიროს, იქნებ ეს ცრემლები მისი გულის წამალია...

უცნობი როგორღაც გონს მოვიდა. ალბათ, ჩემი იქ ყოფნა შენიშნა. ტანში გასწორდა, თვალები გაიმშრალა და შემომხედა. მე შევჩერდი.

— მეგონა, რომ კარგად ვიცნობდი ამ სოფელს, — ჩაილაპარაკა მან, — მითხარით, განა ამ მთას უნაგირა არა ჰქვიან? გამიგონია, გადმოცემაც კი არსებობს მასზე, თითქოს ეს მთა ოდესღაც მერანი ყოფილიყოს. მასზე გოლიათი დევი ჯდებოდა თურმე. მერე ისინი გაქვავებულან, მიწაში ჩაფლულან და მთებად გადაქცეულან.

უცნობი დაიბნა. ეტყობოდა, ძალზე ღელავდა.

— აქ, ქვევით, — განაგრძო მან, — უსახელო მთა იყო. შეუმჩნეველი, პატარა. მაგრამ ახლა მას ვეღარა ვხედავ. იმ ადგილზე რაღაც სხვანაირი მაღლობი აღმართულა. არ მესმის, როგორ უნდა გაზრდილიყო ეს მთა. ხედავთ, თითქმის უნაგირას გათანასწორებია. განსაცვიფრებელია!

— თქვენ სწორად შენიშნეთ, ამხანაგო, მთა იზრდება.

— მერე როგორ? არ მესმის.

—მივუახლოვდეთ და დაინახავთ.

უცნობი აჩქარდა, მაგრამ დაჭრილი ფეხი ქვას მიარტყა და სახე შეეჭმუხნა. მივუახლოვდი, რომ ჩემი თანაგრძნობა გამომეხატა. მხარზე ხელი გადავხვიე და ბილიკის მახლობლად წყაროსკენ წავიყვანე.

თვალცრემლიანმა მიირბინა წყაროსთან. ხარბად დაეწაფა გამაცოცხლებელ წყალს და მართლაც თითქოს გამოცოცხლდა. ჯიბიდან თამბაქოს ყუთი ამოიღო და უზარმაზარ ლოდზე ჩამოჯდა.

ეს წყარო ჩვენი ორიენტირი იყო. აქ, ამ ადგილას ბრძანება მივიღე: „წითელი არმიის მებრძოლებო, გოგიტაურო და კაზაკოვო, ჩემთან".

—კაზაკოვი?. — შევეკითხე მე.

მაგრამ ის ისე გართული იყო მოგონებით, რომ ჩემი შეკითხვა არც-კი გაუგონია, განაგრძო:

მე და კაზაკოვმა ერთდროულად ვუპასუხეთ: „ჩვენ აქა ვართ, ამხანაგო კაპიტანო". კაზაკოვი ჩემი განუშორებელი მეგობარი იყო.

მე უკვე მივხვდი საქმის შინაარსს. მაშ ეს უცნობი გოგიტაური ყოფილა.

სოფლიდან თითო-ოროლად მოდიოდნენ მცხოვრებნი. ცნობისმოყვარეობით გვიახლოვდებოდნენ ყურს. რათა ჩვენი საუბრისათვის ხელი არ შეეშალათ, ცდილობდნენ შეუმჩნეველი ყოფილიყვნენ; ეფარებოდნენ ქვებს, ხეებს.

— აქ ჩვენ საბრძოლო დავალება მივიღეთ, — სთქვა გოგიტაურმა,—სოფელი დანაღმული იყო. აი ამ ადგილას დანაღმული ველები იყო, — ხელით მაჩვენა მან. იქიდან-კი, იმ სახლიდან მავთულხლართები იწყებოდა.

— ებრძანებ, — სთქვა კაპიტანმა დილის ოთხი საათისათვის განაღმოთ ველი 25 მეტრის სიგრძეზე, რომ ჩვენი შემტევი ნაწილები სოფლის ასაღებად იერიშზე გადავიდნენ. ოთხსაათსა და ოცდაათ წუთისათვის გადაჭრილი იყოს მავთულხლართები!".

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — ვუპასუხეთ ჩვენ :— განაღმოთ სოფლის მისადგომები და ოთხი საათისა და ოცდაათი წუთისათვის გადავჭრათ მავთულხლართები.

საბრძოლო ამოცანის შესრულებას შევუდექით.

იაშა მეუბნება:

იორამ, ჩემო ძმაო, შენიშნე, კაპიტანთან ნაბდიანი ხალხი რომ იდგა? მათ შორის ჩვენი გენერალიც იყო. ვგრძნობ, შეტევაზე გადავალთ და გავრეკავთ გერმანელებს. მე და შენ-კი, დონის კაზაკი კაზაკოვი და ქართველი ვაჟკაცი გოგიტაური, პირველნი შევალთ სოფელში.

ერთმანეთს გადავეხვიეთ. ბავშვებივით გახარებულნი ვიყავით. იცით, რა არის სიხარული? თუ ჭირს არ გადაიტან, ვერც სიხარულს იგრძნობ. კაზაკოვს დიდი ჭირვარამი ჰქონდა გადატანილი. ცოლშვილი გერმანელების ტყვეობაში ჰყავდა, მისი სიხარული ის იყო, თუ აქამდე უკან ვიხევდით, ახლა უკვე შეტევაზე უნდა გადავსულიყავით. კავკასიის მთებს გავწმენდავთ უწმინდურებისაგან და განვაგრძნობთ წინსვლას.

— შენი დღესასწაულია, იორამ, — მითხრა კაზაკოვმა, — საქართველო გადარჩა.

როგორ უხაროდა რიგითი მებრძოლს, ამ უბრალო რუს ადამიანს ის, რომ საქართველოს ომის საშინელება არ შეეხო. მშობლიური ქვეყნის ყველა კუთხის ასეთი სიყვარული მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლიან, ვისაც დიდი და წმინდა გული აქვს.

ასეთი იყო იაშა კაზაკოვი. ასეთი არის ყველა წითელი მებრძოლი.

ამოცანის შესასრულებლად წავედით.

— ხედავთ იმ ქვის ლობეს? წავიდეთ, მე მინდა ყველაფერი კარგად გავიხსენო.

ის წამოდგა და ოდნავი კოჭლობით ლობისაკენ გაემართა. მთელი სოფელი უკან გაჰყვა მაგრამ ის, ისე გართული იყო თავისი მოგონებებით, რომ არავის არ ამჩნევდა.

— აი ამ ლობეზე გადავხტით და ჩავწექით. გერმანელებმა შეგვამჩნიეს, თავის წამოწევის საშუალებას არ გვაძლევდნენ. დრო-კი არ ითმენდა. გადიოდა წუთები, ჩვენ-კი სულ ვიწექით. თავს წამოვყოფდით თუ არა, სეტყვასავით გვაყრიდნენ ტყვიას. რამე უნდა მოგვეხერხებინა. იაშამ მითხრა: „იორამ, იცი, რა ვქნათ, მე მოვხოხდები მავთულხლართებთან. შეუდგები ჭრას. ისინი სროლას ამიტეხავენ, შენ-კი ამდროს აი ამ მხარეზე იმოქმედე. მე არ მინდოდა მისი მარტო გაშვება, არც იმას უნდოდა ჩემი მიტოვება, მაგრამ სხვა გზა არა გვქონდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ, დავემშვიდობეთ. აი აქ დაიღვარა მისი სისხლი. აქ იწვა იგი, და მეძახდა: „იორამ, იორამ. გადავიდნენ ჩვენები. ძალიან კარგი. ამწიე მაღლა! დამანახვე მაინც, როგორ მიდიან. მესმის „ურა" მესმის რუსული „ურა"... და მან სიმღერა წამოიწყო. დიახ, ის იწვა გონებადაკარგული, სიცოცხლეს ეთხოვებოდა და მღეროდა თავის გედის სიმღერას. მე იგი ხელში ავიყვანე. ხვიმით მიმყავდა წინ, მაგრამ აი აქ, იმ მთასთან, გარდაიცვალა. გოგიტაურმა მთისაკენ ხელი გაიშვირა. — მთიელებს ვთხოვე, რომ ჩემი მეგობრისათვის ღირსეული პატივი ეცათ. იქ თითქოს რაღაცა შენდება. ამის წინად ჩემი მეგობრის საფლავის სანახავად მოვედი, მინდოდა გამეგო, სად დაკრძალეს, როგორ დაკრძალეს.

გოგიტაურის ხმაში უკმაყოფილება გაისმოდა. თვალები უბრწყინავდნენ. ახლა მისი თვალები ამომშრალი იყო, შეჭმუხვნილი და შუბლიდან იცქირებოდნენ. ყველანი სდუმდნენ. სდუმდნენ, რადგანაც სდუმდა აქ მყოფთა შორის უხუცესი ადამიანი, რომელსაც პასუხის გაცემა შეეძლო. ეს ადამიანი დინჯად წამოვიდა წინ. ის ისე მოხუცებულიყო, რომ ერთი შავი ღერიც კი არა ჰქონდა შერეული წვერ-ულვაშსა და თმაში. ეს იყო მოხუცი გუდუ. სოფლის სახელი და ღირსება. თვით ამ მთების ისტორია.

გუდუმ ფარჩის ქისიდან ორი თითით თამბაქო ამოიღო, ხელის გულზე დაფშვნა, დასრისა. ჩიბუხში ჩასდო იგი და მოხუცისათვის ჩვეული ტკბილი ხმით უთხრა:

— შენ ჩემი შვილი იმ წყაროდან ამ ადგილამდე მოიყვანე, ამას იქით-კი მე წავიყვან. ყური დამიგდე. კაზაკოვი შენი მეგობარია, ჩემი-კი შვილი. ის მოკვდა ჩემი მიწა-წყლისათვის, ჩვენი წინაპრების საფლავებისათვის, ჩვენი ხალხისათვის. ის რუსი ადამიანია, ახლა კი ჩემი შვილი გახდა, ქართველი კაცის შვილი. ასეთ შვილს ჩვენ ვაფასებთ და გვიყვარს. იქ, საითაც შენ ხელს იშვერდი, არაფერი არა შენდება. იქ მთა იზრდება. წამოდი, ახლოს მივიდეთ და შენ ყველაფერს ნათლად დაინახავ.

ყველანი გაეშურნენ.

იორამი ყველაზე წინ მიდიოდა. დაავიწყდა, რომ დაჭრილი იყო, ტკივილს არა გრძნობდა.

ჩვენ ძველ გზას მივუახლოვდით და შევჩერდით. იქვე გაკრულ დაფაზე ასეთი წარწერა იყო:

„გამვლელო, ვინც არ უნდა იყო შენ, ასი წლის მოხუცი, ქალი თუ კაცი, ყმაწვილი თუ ბავშვი, შეჩერდი, მაღლა აიხედე. ერთ დროს აქ არაფერი არ იყო, ახლა კი მთა გაჩნდა. ეს მთა იზრდება. ამ მთის ახლოს დაკრძალულია ჩვენი სოფლისათვის დაღუპული დონის კაზაკი იაშა კაზაკოვი. მოიხადე ქუდი. (ჩვენ ყველამ ქუდები მოვიხადეთ, იორამმა სიხარულით გადახედა ხალხს) ქუდი მოიხადე, აიღე ქვა და იქ მოიტანე, სადაც იაშა კაზაკოვი არის დაკრძალული. წყეულ იყოს ის, ვინც ამას არ იზამს! ვინც ადამიანია, ასჯერ რომ გაიაროს, ასჯერვე ასე მოიქცევა. ამას გთხოვთ მთელი კავკასია და გთხოვთ მე, 118 წლის მოხუცი, გუდუ".

იორამმა ქვა აიღო და მთაზე აიტანა. ასევე მოვიქეცი მე და ყველა იქ მყოფი. ქვა აიტანა გუდუმაც, 118 წლის მოხუცმა.

აქ ამ სოფელთან, კავკასიონის მთათა ფერდობზე, არწივის ბუდესავით ეკიდა უსახელო მთა, მთათა შორის ყველაზე პატარა და შეუმჩნეველი. ახლა აღარ არის ეს უსახელო მთა. იქ ახალი მთა იზრდება. იაშა კაზაკოვის სახელობის მთა. არავინ გაივლის ამ წმინდა ადგილის გვერდით ისე, რომ ქუდი არ მოიხადოს და თავისი წვლილი არ შეიტანოს ამ მთის აგებაში. ასეთია კავკასია, ასეთია კავკასიის ხალხი. და იზრდებამთა ყოველდღიურად, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, მიიწევს სულ მაღლა.

ამბობენ: ღამღამობით, როდესაც ყველას სძინავს, ყველაფერი მიყუჩებულია, მთათა მწვერვალზე ამოდის მთვარე, დასცქერის საფლავს და დასტირის მას. მთვარის ცრემლები მთელი ღამე ვერცხლად ეფრქვევა საფლავს, მთა-კი აღიმართება და დგას, როგორც ძმობისა და მეგობრობის სამარადისო ძეგლი.

ალექსანდრე საჯაია

# ლადო ასათიანი

ერთი წლის გარდაცვალებიდან



ლადო ასათიანი. ნახ. ლ. გუდიაშვილისა.

[illegible]

...უშუალოდ ჰპოულობენ თავიანთ ადგილს. სწორედ ეს მგზნებარე განწყობილება, ეს მაღალი ტონი და სინათლე, არის ძირითადი თვისება მისი ლექსებისა. ლადო ასათიანისთვის არ არსებობს ლამაზი სიტყვა თავისთავად, უმიზნოდ დახატული პეიზაჟი ან ტემპერამენტს მოკლებული ნაზი სიმღერა. პოეტი მტკივნეულად განიცდის სამ[illegible]

...ქართველი მკითხველი საზოგადოება არ დაივიწყებს ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს, რომელმაც თანამედროვე ქართული პოეზიის საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ჩვენ-კი, მის მეგობრებს, რომელთაც პოეტის მგზნებარე სტრიქონებთან ერთად მისი ფართო, ცისფერი თვალების ამაყი გამოხედვაც გვახსოვს, მარად დაგვრჩება პატრიოტი პოეტის ნათელი ხსოვნა.

# ი. მ. მოსკვინი

[illegible]

...ვის თავს. მას ყოველთვის სიახლე და ახალი ნიუანსები შეაქვს განსახიერებაში. განვლილმა წლებმა მოსკვინს დიდი მხატვრის სიბრძნე შესძინეს და მისი ოსტატობა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს. მის მიერ შექმნილი მეფე თედორე უკვდავი მხატვრული ქმნილება და უდიდესი აქტიორული შედევრია რუსული თეატრის სცენაზე. მოსკვინის მიერვე ასეთივე მხატვრული სიღრმით გამოკვეთილ[illegible]

...[illegible] ლოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ხრაპჩენკომ, რომელმაც მიულოცა იუბილიარს დაბადების 70 წლისთავი და მთავრობის მიერ ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოვება, ვ. ი. კაჩალოვმა, ა. იაბლოჩკინამ, ა. ი. ტაიროვმა, გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ა. სოკოლოვ-სოკოლიონოკმა, ა. ვ. პოკროვსკიმ და სხვებმა. დასასრულ, სიტყვით გამოვიდა თვით იუბილიარი.

# შალვა დადიანის საიუბილეო საღამო

26 ივნისს რუსთაველის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, მწერლის შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანის დაბადებიდან 70 წლისთავისა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელიც პოეტ გ. ლეონიძის სიტყვით გაიხსნა. შ. დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. ჯიბლაძე.

იუბილიარს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ, მწერალთა კავშირის სახელით — ი. გრიშაშვილმა, რუსთაველის თეატრის სახელით — ა. ვასაძემ, მარჯანიშვილის თეატრის სახელით — შ. ღამბაშიძემ, ქუთაისის თეატრის სახელით — დ. ანთაძემ, გრიბოედოვის თეატრის სახელით — ნ. სატინამ, იუბილარს მიესალმნენ აგრეთვე თეატრალური ინსტიტუტის, პიონერთა სასახლის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ა. აბაშელმა და კ. ბობოხიძემ წაიკითხეს შ. დადიანისადმი მიძღვნილი ლექსები.

იუბილარის სახელზე მიღებულია სსრკ მწერალთა კავშირის, მოსკოვის მცირე თეატრის, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის მწერლების და მთელი რიგი დაწესებულებების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცალკეული მოღვაწეებს მისასალმებელი დეპეშები.

საზეიმო ნაწილის შემდეგ წარმოდგენილ იქნა შ. დადიანის პიესის „გუშინდელნის" მეორე მოქმედება, რომელშიც მაზრის უფროსის როლი ავტორმა შეასრულა. საღამო დამთავრდა კონცერტით.

# წერილი რედაქციის მიმართ

(„მცირე შენიშვნის" გამო)

„ლიტერატურის და ხელოვნების" მე-22 №-ში „მცირე შენიშვნის" ავტორები (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე და ვუკ. ბერიძე) ჩვენ გვდებენ ბრალს იმაში, რომ თითქოს ჩვენ მოგვაქვს ციტატა კ. სმირნოვის წიგნიდან არასწორად, თითქოს ჩვენ ვსთხზავთ „არ არსებულ ციტატებს". თავისი მეხედულების დასამტკიცებლად, მეგვაქვს ზედმეტად კ. სმირნოვის წიგნიდან ამოღებულ ციტატაში — „მზიანი ღამე", — ვამბობთ: „სეფასიანების მოძღვრებით, მზე მზიანი ღამის ხატია" და სხვა.

ვაცხადებთ, რომ ჩვენ არავითარი ციტატა არ მოგვაქვს კ. სმირნოვის წიგნიდან, არამედ მოგვაქვს მისი წიგნის ერთი ადგილიდან მისი კონცეპცია ჩვენივე სიტყვებით. ეს ადგილი ჩვენ არც ბრჭყალებში გვაქვს მოქცეული, არც ფორმით უდრის ციტატას. აშკარაა, რომ ჩვენი მიზანია მხოლოდ კონცეპციის მოცემა.

მაშ რა საფუძველი გვქონდა მოგვეხსენებინა ცნება „მზიანი ღამე", როცა სეფასიანთა სექტის მოძღვრებაზე ვლაპარაკობდით?

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენ ჯერ კიდევ წელიწად ნახევრით ამაზე ადრე (იხ. სახუნტის შრომები XXV. ჩვენი წერილი „ვეფხის-ტყაოსნის" ერთი ადგილის განმარტებისათვის"), მოგვქონდა მერჩულიდან და „ვეფხის-ტყაოსნიდან" სხვადასხვა ადგილი მზიანი ღამის შინაარსის შემცველი სიტყვებისა: „მერჩ. („ნათელი დაუღამებელი"). „ვეფხის-ტყაოსანი": „მზიანი ღამე", „ნათელი უღამო" და ნესტან-დარეჯნის წერილში ქაჯეთის ციხიდან საყვარელთან მიწერილში: „მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა: დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა".

ყველა ასეთ თქმას ერთი და იგივე შინაარსი აქვს: მზე რომ ჩაუსვენდება ვინმეს და მოკვდება, ის ჯერ ღამეში შედის და ცის ხარისხების გავლის შემდეგ მზიან ღამეს — მარადიულ ნათელს — იმავე სუფიების ნათელ ღმერთს უერთდება სამოთხეთა სამოთხეში, მუდმივი ღმერთის ხილვადობასა და სამარადისო ნეტარებაში მოხვედრასთან ერთად; მეშვიდე წელია რაც „პაემან ე ფერჰენგზე" დაყრდნობით ვმუშაობთ ამ საკითხზე და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იქაც ზუსტად არის მოცემული ეს მზიანი ღამის შინაარსიც და კ. სმირნოვის წიგნშიაც — რომლის კონცეპციასაც ჩვენ ვიზიარებთ, — არის ადგილები სადაც იგივე ჩანს: ნ. გვ. 31-34, სადაც მითითებულია მარადიული სინათლის კულტზე სეფასიანების მოძღვრებაში და მის ანალოგიებზე სუფიური მოძღვრების წარმოდგენათა მიხედვით; ამნაირად მზიანი ღამე მისი შინაარსის მიხედვით ე. ი. იმის მიხედვით, რაც მთავარია ამ შემთხვევაში, — ეს არის მარადიული ნათელი, სუფიების სინათლე — ღმერთი, რომლის მარადხილვადობაში დაგანუსაზღვრელ ნეტარებაში იმყოფება ცაში გადასახლებული სული, რომელიც გამხდარა მე-10 ცაში ე. ი. სამოთხეთა სამოთხეში დამკვიდრების ღირსი, რასაც ვხვდებით „პაემან ე. ფერჰენგშიც". ჯერჯერობით ამაზე ვჩერდებით. მალე შევეცდებით უფრო ვრცლად შევეხოთ ამ საკითხს.

პროფ. ი. აბულაძე

# „მნათობის" ახალი ნომერი

გამოვიდა „მნათობის" 1944 წლის № 1-2. ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალა: ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა. მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში მოთავსებულია ლექსები: ვ. გორგაძის — „ვ. ი. ლენინის ხსოვნას", კოლაუ ნადირაძის — „ვალერიან გაფრინდაშვილს", დომენტი თომაშვილის — „მინაწერი", შალვა აფხაიძის — „ზღვასთან", მარიკა მარათაშვილის — „შერცხლები აკაკის აივანზე", ავეტიკ ისაკიანის — „საბრძოლო მოწოდება" (თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა), გიორგი კაჭახიძის — „დედის სურვილი", გრიგოლ ცეცხლაძის — „გმირი მეზობლებთან", ანდრო თევზაძის — მარადი ხსოვნა, პერს-ბიში [illegible] ...რებთან" (რომანი), ბორის ჩხეიძის „ლიახვის პირას" (მოთხრობა), ჰანს გაბესი „ათასი დაეცემიან" (თარგმანი ი. აგლაძისა), ს. კლდიაშვილის პიესა „ირმის ხევი".

კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიის განყოფილებაში მოთავსებულია: კონსტანტინე ჭიჭინაძის „პოეტური მეტყველების კულტურის დასაცავად", მ. დუდუჩავას „ასახვის თეორია და მხატვრული შემეცნების საკითხები".

ხელოვნების განყოფილება წარმოდგენილია ორი წერილით: პროფ. შ. ამირანაშვილი — „წარმართული მისტერიები და ანტიკური თეატრი საქართველოში", დიმიტრი ჯანელიძე — „ქართული სახვითი ხელოვნება სამამულო [illegible]



სოფლის კარ-მიდამო. ეტიუდი. მხატ. ვ. სიდამონ-ერისთავისა.

# ლევან გოთუა „ქალწულის კოშკი"

ამ დღეებში ახუნდოვის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი პრემიერა „ქალწულის კოშკი". დრამას ძირითად კვანძად შემამოწყუებელი სიყვარული უძევს -მამის ხორციელი სიყვარული თავის ქალიშვილის მიმართ. და მის ავტორთან, რიზა შახვალადისთან ბევრი სადაო გვექნებოდა, რომ დრამის საფუძველს აზერბაიჯანში გავრცელებული ლეგენდა არ შეადგენდეს; ბაქოში, ზღვის პირას ახლაც აღმართულია ე. წ. ქალწულის კოშკი, მასთან დაკავშირებულმა ტრაგედიამ ლიტერატურულ ძეგლებშიც იპოვა თავისი გამოხატულება. ამ თემას პირველად ჯაფარ ჯაბარლი შეეხო. შახვალადის ეს ლეგენდა დრამატურგიულ მასალად გამოუყენებია, ხორცი შეუსხამს და დამატებითი სიუჟეტური ხაზებით გაურთულებია. დრამა-ლეგენდის შინაარსი მოკლედ ასეთია:

შახი არ აძლევს თავის ქალიშვილს დურნას ცოლად გმირ სარდალს გუნდუზს, რადგან თავად არის შეპყრობილი დურნას მიმართ ხორციელი სიყვარულით. ქალი შეძრწუნებულია, წინასწარ პირობად მამას მოსთხოვს ზღვაში კოშკის აგებას. ასე იბადება კოშკი. ბაქოს თავს ესხმიან მტრის ურდონი. სამშობლოს ვერავინ იხსნის, გარდა გუნდუზისა. იგი, კი გაწბილებული და შერისხული, ჩამოშორებულია ყველაფერს. მაგრამ აი სამშობლო მოუწოდებს გუნდუზს და იგი კვლავ იმარჯვებს. ეჭვით შეპყრობილი შახი ვეზირს გზავნის მის მოსაწამლავად, თავად კი დურნას ეწვევა უკვე აგებულ კოშკში. დურნა, თავის დედის შავ სამოსში გამოწყობილი კოშკიდან ზღვაში გადავარდება. შეთქმულება სარდალის წინააღმდეგ მჟღავნდება. ყველანი გაიგებენ აგრეთვე შახის აღმაშფოთებელ ვნების შესახებ და შეიჭრებიან კოშკში, გუნდუზი ჰკლავს შახს.

სამწუხაროდ პიესა დაზღვეული არ არის გაუბრალოებისაგან და მას ზოგან ფსიქოლოგიური დასაბუთება და დახვეწა აკლია. მრავალი ცალკეულად ჩართული სასიმღერო და მუსიკალური მოტივი ყოველთვის გამართლებული და აუცილებელი არ არის.

„ქალწულის კოშკის" დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს ისფაჰანლის. დამდგმელს სანახაობით მდიდარი სპექტაკლი შეუქმნია. იგი უფრო ფართო ხაზებს და ზოგად ფერებს მიმართავს, რათა დრამას ლეგენდის კოლორიც შეუნარჩუნოს და ადვილად მისაწვდომიც გახადოს. კარგად უმუშავნია მხატვარს კილოსანიძეს, რომლის დეკორაციები და კოსტიუმები მუდამ ხელს უწყობენ მსახიობებსაც და მაყურებელსაც; რაც შეეხება ა. ტიგრანიანის მუსიკას — იგი ხანდახან თვითმიზნურია და თითქოს ალაგალაგ კომპილიატურიც.

შახის მეტად ძნელ როლს ანსახიერებს ისფაჰანლი და, უნდა ითქვას, იგი ამ სიძნელეს ჩვეული ოსტატობით სძლევს. მისი თამაში ამდიდრებს ტექსტს. მან ამ როლის დრამატიზმი შინაგან ფსიქოლოგიურ საჭაროში გადაიტანა და განცდა ბუნებრივი და დამაჯერებელი გამოვიდა. მისი შახი სუსტი ნებისყოფის ადამიანი უფროა, ვიდრე ავი, უფრო ეჭვით და არაბუნებრივი სიყვარულით დაავადებულია, ვიდრე გახრწნილი; და ბოლოს, ისპაჰანლის შახი რომ არ მოეკლათ, ალბათ თავად გადავარდებოდა ზღვაში. ამ სახით გახსნილი შახის როლი საინტერესოდ არის მოცემული, ოღონდ ტრაგიკული გაორება: მამა—აშიკი მჭიდროდ შეგრეხილ ნაწნავივით უნდა მისდევდეს მთელ დრამას, ურიგო არ იქნებოდა მსახიობს რომ ამ მხრივაც მეტი სიცხოველე გამოეჩინა.

დურნას ა. შაგინიანი თამაშობს, იგი მიმზიდველ და ლირიულ სახეს ჰქმნის, თუმცა ყველგან ვერ აღწევს საჭირო სიღრმეს, და თითქოს როლს ჯერ კიდევ შინაგანი ხილვა აკლია. ზომიერება და სცენის გრძნობა ახასიათებს მსახიობ ნ. ბებუთოვას, მას საარბანდის როლის შესრულებაშიც წარჩინება ხვდა.

დამს. მსახიობს სალაჰლის გუნდუზის როლში დახვეწილი თამაში ახასიათებს, მხოლოდ თითქოს შინაგანი, ტემპერამენტი აკლიაო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება; ხოლო მსახიობ ბაირამოვს კი იმავ როლში სწორედ პირუკუ მოსდის. სჩანს ამ როლის სწორი ხაზი სადღაც მათ შორის მდებარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს როლი დრამატურგსაც შინაგანად დაუმთავრებელი დარჩენია.

უთუოდ კარგია მოვლან-ბაბას როლში მამედოვი. საერთოდ მოვლან-ბაბა პიესის ყველაზე უფრო უანგარო და გონიერი პირია. სწორად გაუგია იგი მსახიობს და ასევე მოუტანია იგი მაყურებლამდე.

ვეზირი (მსახ. ხაკკი), ჩვენის აზრით ცოტა აჭარბებს ბოროტების გარეგნულად გამოვლენაში და ხანდახან თითქმის ანსამბლის გრძნობასაც ჰკარგავს, მაგრამ მოწამვლის ცდის სცენა მან უდაოდ კარგად ჩაატარა. ამ ცრემლმრავალ პიესაში ხალისი და სიცილი შეაქვს დამს. არტისტს ყურბანოვს, მისი კენდბაში უთუოდ სასიხარულო მიღწევაა. დრამა-ლეგენდაში კენდბაში ყველაზე უფრო რეალისტური და მართალი სახეა, ხოლო ოსტატ-მსახიობის შესრულებით ტიპადაც იქცევა.

დანარჩენმა მონაწილეებმა ყველაფერი მოიმოქმედეს, რათა ანსამბლ-აწყობილი და შეგულისხმებული სპექტაკლი გამოსულიყო. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ხელოვნ. დამსახ. მოღვაწის ბარხუდაროვის მიერ დადგმულმა ცეკვებმაც.

სპექტაკლი ფართო მაყურებელთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობს, იგი ჩვენის აზრით ახუნდოვის სახელობის თეატრის მიღწევებში ჩაირიცხება.

# მზადება ა. პ. ჩეხოვის დღეებისათვის ქუთაისში

ქ. ქუთაისის საზოგადოებრივობა გაცხოველებით ემზადება, რათა ფართოდ აღნიშნოს გამოჩენილი რუსი მწერლის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალებიდან 40 წლის შესრულება.

ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა, პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკა და ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი მოაწყობენ ა. პ. ჩეხოვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენებს.

საქ. სსრ სახალხო არტისტი დოდო ანთაძე ამზადებს მოხსენებას თემაზე „ა. პ. ჩეხოვის დრამატურგია", დოცენტი ნიკო ქუთათელაძე — „ა. პ. ჩეხოვის სტილი", დოც. გ. სამხარაძე — „ჩეხოვი და თანამედროვეობა", ვლ. გუგუშვილი „ჩეხოვის ნოველები", მხატვარი ირ. იაქაშვილი — „ჩეხოვის გაფორმება დეკორატიულ მხატვრობაში", დოც. ქსენოფონტე კვანტრე — „ჩეხოვი — დიდი რუსი კლასიკოსი", დოც. კონსტ. მეძველია — „ჩეხოვი და ქართული მწერლობა", პროფ. ანგია ბოჭორიშვილი — „ჩეხოვის გმირთა ფსიქოლოგია".

ახალგაზრდა მოქანდაკე ფ. მიზანდარი მუშაობს ჩეხოვის ქანდაკებაზე.

მოეწყობა ქუთაისის საქალაქო საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნება ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავს.

# სეზმან ერთაწმინდელი

[illegible]



ს. ერთაწმინდელი დაიბადა 1888 წელს ს. ერთაწმინდაში ღარიბი გლეხის ოჯახში. 10 წლის სეზმანი მამამ შეგირდად მოაწყო სპილენძეულობის ერთ-ერთ ქარხანაში, შემდეგ მან შეისწავლა ზეინკლობა. 1912 წლიდან მას უკვე ვხედავთ როგორც გაზეთის მუშაკს და კორექტორს ქართულ პერიოდულ გამოცემებში.

სეზმან ერთაწმინდელი, როგორც ერთ-ერთი მოწინავე მუშა, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში და არალეგალურ პროფკავშირულ მუშაობაში, რისთვისაც იგი არა ერთხელ ყოფილა რეპრესირებული. 1921 წლიდან ერთა[illegible]

...ბული აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის აღსანიშნავია მოთხრობა „წითელი დროშის ლეგენდა", რომელიც 1925 წელს ჟურნალ „დროშაში" დაიბეჭდა და რომელმაც საუკეთესო მოთხრობაზე გამოცხადებულ კონკურსის დროს პრემია მიიღო, აგრეთვე ერთმოქმედებიანი პიესები „სიკვდილი ჩრდილოეთში", „დაჭრილი ორბი", „სიკვდილით დასჯა", „სადარაჯოზე". ეს პიესები ხშირად იდგმებოდა და ამჟამადაც იდგმება სასოფლო თეატრებისა და კლუბების სცენაზე.

ს. ერთაწმინდელის ლექსების ტექსტზე დაწერილია რამდენიმე რომანსი და სალაშქრო სიმღერა, რომელსაც ერთ დროს ფართო გასავალი ჰქონდა წითელი არმიის ნაწილებში.

როგორც გულწრფელი პატრიოტი-მწერალი, ს. ერთაწმინდელი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ძალღონის დაუზოგავად ემსახურებოდა სამშობლოსა და მშრომელ ხალხს.

დატოვებული ანდერძის თანახმად, განსვენებული დაკრძალულ იქნა ს. ერთაწმინდის ეკლესიის გალავანში 28 ივნისს. დაკრძალვაზე დიდძალმა კოლმეურნეებმა მოიყარეს თავი მწერლების სახელით გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვეს ლადო გეგეჭკორმა, გიგო ხეჩუაშვილმა და განსვენებულის პირადმა მეგობარმა მუშა-მწერალმა ნიკო იტრიევმა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი.

# ქრონიკა

### კონკურსი პიესებზე.

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტმა გამოაცხადა დახურული კონკურსი კომედიაზე, რომელიც თანამედროვეობას უნდა ასახავდეს. რუსი მწერლებიდან კონკურსში მონაწილეობას იღებენ ვ. შკვარკინი, კ. ფინი, ნ. ერდმანი, ვ. კატაევი, ლ. რახმანოვი, ა. ფაიკო, ბ. რომაშოვი, ა. გლადკოვი და სხვები.

კონკურსში გამარჯვებული პიესებისათვის დაწესებულია სამი პრემია: ერთი-50 ათას მანეთიანი და ორი-30 ათას მანეთიანი.

იმავე დროს ჩატარებული იქნება კონკურსი საბავშვო პიესაზე. მთელ რიგ ავტორებისათვის ხელოვანთა კომიტეტს შეკვეთილი აქვს პიესები, რომელთა მთავარი გმირები უნდა იყვნენ რუსული კულტურისა და მეცნიერების სახელოვანი მოღვაწენი; ლ. რახმანოვი, მაგალითად, სწერს პიესას გამოჩენილ რუს ფიზიოლოგ სეჩენოვზე, როშალი — სახელგანთქმულ რუს კომპოზიტორ მუსორგსკიზე.

### ახალგაზრდა შემსრულებელთა დათვალიერება

წელს, აგვისტოში, მოსკოვში ეწყობა ახალგაზრდა შემსრულებელთა სრულიად საკავშირო დათვალიერება, რომელიც სამი ტურისაგან შესდგება. პირველი ტური საქართველოს საშუალო და უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში უკვე დამთავრდა. შერჩეულია სამოცდაათამდე შემსრულებელი.

მეორე რესპუბლიკური ტური მოეწყობა სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში ივლისის მეორე ნახევარში. ეს ტური შეარჩევს მესამე საკავშირო ტურში გასაგზავნ შემსრულებლებს. დათვალიერების კომისიაში შედიან: პ. ახალკაცი, კომპ. ი. გოკიელი, პროფესორები: მ. ასლანიშვილი, ა. თულაშვილი, ა. ვირსალაძე, ო. შულგინა, ა. ინაშვილი, სტალინური პრემიის ლაურეატი კომპ. შ. მშველიძე, გ. თაქთაქიშვილი და მოსკოვიდან საგანგებოდ ამ საქმისათვის მოვლინებული სპეციალისტი.

მესამე სრულიად საკავშირო ტურის დასრულების შემდეგ მოეწყობა უმაღლეს და საშუალო მუსიკალური სასწავლებლების პედაგოგთა კონფერენცია, რომელიც შეაჯამებს დათვალიერების შედეგებს.

### საბავშვო მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა ქ. ლანჩხუთში

ლანჩხუთის თეატრში მოეწყო ლანჩხუთის რაიონის სასკოლო მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა, რომელშიაც 300-მდე მოწაფემ მიიღო მონაწილეობა. ოლიმპიადა ოთხ დღეს გაგრძელდა. ყველაზე დიდი წარმატება ხვდათ ლანჩხუთის, ჩიბათისა და ჩოჩხათის საშუალო სკოლების კოლექტივებს. ინდივიდუალურ შემსრულებელთაგან პრემიები მიეცათ მოწაფეებს ციალა სარიშვილს, სულიკო საჯაიას, ჯეირან ანდღულაძეს, ციალა გოგოლიშვილს, ლეილა ჩაჩავას და სხვებს. ოლიმპიადამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა.

### თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში

წელს სახელმწიფო კონსერვატორიას ამთავრებს 35-დე ახალგაზრდა კვალიფიციური მუსიკოსი, ვოკალისტი, პიანისტი და დირიჟორი. ამჟამად მიმდინარეობს გამოცდები, რომელიც 25 ივლისამდე დამთავრდება. შემდეგ მოეწყობა სახელმწიფო გამოცდა და უკანასკნელი დასამთავრებელი კონცერტი, რომელსაც დაესწრება მოსკოვიდან საამისოდ სპეციალურად დანიშნული — რსფსრ სახალხო არტისტი ბ. ა. გოლდენვეიზერი.

### თბილისის სამხატვრო სასწავლებელი

ეს სასწავლებელი, რომლის დირექტორი არის მხატ. იორამ მამალაძე, დაარსებულია 1933 წელს. ამ ხნის განმავლობაში მან გამოუშვა მხატვართა ხუთი ნაკადი, წელს გამოუშვებს მეექვსეს. სასწავლებელში კურსდასრულებული მხატვრები მუშაობენ რაიონებში მხატვრებად და სკოლებში — ხატვის მასწავლებლებად, ამათ რიცხვში არიან შ. ჩლაიძე, ვ. ღარიბაშვილი და სხვები.

ამ სასწავლებლიდან წითელ არმიაში გაწვეულ სტუდენტთა და კურს დამთავრებულთა შორის თავი ისახელეს გმირული ბრძოლითა და მამაცობით: სიმ. ბუხნიკაშვილმა, გ. სესიაშვილმა, ალ. ლომიძემ (ორგზის ორდენოსანი) მ. ყიფიანმა, თ. ქარუმიძემ და სხვებმა.

წელს უკვე გამოცდები ჩააბარეს და ამჟამად სადიპლომო ნაშრომებზე მუშაობენ: ს. ასლანოვი, ოთ. სულავა, ჯ. ხუნდაძე, ზ. მეძმარიაშვილი, მ. კობახიძე, გ. ფირცხალავა და სხ.

### „ჟამთაბერის ასული" ფოთის თეატრში

ფოთის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო თეატრი ამზადებს ამ სეზონის უკანასკნელ პრემიერას — მიხეილ ჯაფარიძის ისტორიულ პიესას „ჟამთაბერის ასულს". პიესას სდგამს ტ. ლორთქიფანიძე.

### „გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე".

თბილისის კინოსტუდიის ქრონიკის სექტორმა დაამზადა მხატვრული ნარკვევი გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძეზე. ნარკვევში მოცემულია ამ შესანიშნავი ქართველი გენერლის ბრწყინვალე საბრძოლო გზის დამახასიათებელი ეპიზოდები.

ფილმი გადაღებულია კ. გოგოძის სცენარით.

### ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა

ივნისის შუა რიცხვებში თეთრიწყაროში მიმდინარეობდა მოწაფეთა მხატვრული თვითმოქმედების სარაიონო ოლიმპიადა. ოლიმპიადის მონაწილეებმა ჩინებულად შეასრულეს სახალხო სიმღერები და ცეკვები, წარმოსთქვეს ლექსები სამამულო ომის გმირებზე და უჩვენეს ლიტერატურულ-მუსიკალური ინსცენირებანი: „წინ, დასავლეთისაკენ", „ბალადა სევასტოპოლზე" და „ჰიმნი სამშობლოს". ოლიმპიადაში გამარჯვებულებს პრემიები მიეცათ.

### საქართველოს ფილარმონიის ჯაზის გასტროლები შუა აზიის რესპუბლიკებში

თვენახევარზე მეტია, რაც შუა აზიის რესპუბლიკებში საგასტროლოდ მოგზაურობს საქართველოს ფილარმონიის ჯაზი, რომლის შემადგენლობაში შედიან სოლისტები ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი, შ. ფიცხელაური, ა. აკიმოვი, ტ. აკიმოვი, გ. გავაშელი, ა. ჩახავა, ა. შკლიარინსკაია და ა. ბარუშნოი, ჯაზს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა კომპოზიტორი გ. თორაძე. ჯაზმა კონცერტები გამართა ტაშკენტში, კოკანდში, სამარყანდში, ფერგანაში. ჯაზის გასტროლებს დიდძალი საზოგადოება ესწრება. მისმა კონცერტებმა დიდი წარმატება ჰპოვეს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაში.


სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, ბ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.



# რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

1944-45 სასწავლო წლისათვის აწარმოებს განცხადებების მიღებას

სამსახიობო, სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე:

განცხადებათა მიღებას და დაწვრილებითი ცნობების გაცემას აწარმოებს ინსტიტუტის კანცელარია. რუსთაველის პრ. № 21. ტელ. 3-64 11.

მისაღები გამოცდები დაიწყება 12 ივლისს დილის 10 საათზე.

დირექცია.



რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფ. იული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 00305